# ნათლისღების მადლი გფარავდეთ!


# საქართველოს რესპუბლიკა




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლოესია.





დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 19 იანვარი, 2011 წელი.

№11 (6622)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# ბათუმური ხაფანგი




## სტუმარ-მასპინძლობის ნამდვილი ნაციონალური ამბავი ⑥ ⑦

ამ ამბავს დიდი ხნის, დაახლოებით ოცი წლის ისტორია აქვს და მისი ზოგიერთი პერიპეტიის გამოძახილი საზოგადოებრიობის ყურამდე კი აღწევდა, მაგრამ რამდენადმე მოგუდულად...

## ისრაელმა საქართველოს ხელისუფლებას ყვითელი ბარათი უჩვენა

## „ზარათუშტრას“ ⑤ მეორედ გამოცხადება

პასუხად ცნობილ გრაფომანს, ნაცარქექია ისტორიკოს გურამ ყორანაშვილს

სულხან-საბას იგავის მორიელისა არ იყოს, „რა ქნას, ეგების, არც ნებავს, მაგრა ასეთის გვარისანი არიან, მტერსა და მოყვარეს ყველასას უნდა უკბინონ!“

## ნიჭიერი+ ③




რაც გინდა თქვი, მაგრამ მართლაც ძალიან ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები!

## ამერიკასა და დასავლეთს საქართველო პაიკივით ② არ გაუწირავთ

## ⑧ თბილისმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა უგულებელყო

## ③ „ოსებიც წუხილს გამოთქვამენ თავიანთი მდგომარეობის გამო“



## ② რა აღიზიანებს და არ მოსწონს გია ბუღაძეს?

ანუ საშინელი რუსული ესტრადა, დანგრეული „იმელი“ და ა. შ.

კონფლიქტის ზონა

# ნდობა რომ აღდგეს!..

**საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელებაზე ნებართვის ბრძანება გასცა**

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ (ხელმძღვანელი – რეზო ბენდელიანიძ მიერ ენგურისპირა მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით დაგეგმილი იყო ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში სავაჭრო პირობების შექმნა, რომელიც ქართველებისა და აფხაზების დაახლოების საუკეთესო საშუალება იქნებოდა, მაგრამ ამ სურვილის ასრულებას ხელს უშლიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ, რომელიც კრძალავ-და ამგვარ ადგილებში სამეწარმეო საქმიანობას.**

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ეკა ტყეშელაშვილის 2010 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულებით შესაძლებელი გახდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება: „მოწონებულ იქნეს კავშირი „ქართულ-აფხაზური ოჯახების“ მიერ წარმოდგენილი პროექტი „ქართულ-აფხაზური დიალოგი“ და მიეცეს თანხმობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის“.



ენგურისპირა სოფლების მოსახლეობისათვის ამ ბრძანების გაცნობის მიზნით ზუგდიდის რაიონის ენგურსგაღმა სოფელ ხურჩაში ჩატარდა სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ გალისა და ზუგდიდის რაიონების ე.წ. საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობა. ქართველი და აფხაზი შერეული ოჯახების, ქართული და აფხაზური არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასევე ამ შეხვედრაზე თბილისიდან ჩამოვიდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზვიად ზვიადაძე.

ამ შეხვედრაზე ყველანი ერთსულოვანი იყვნენ იმაში, რომ ერთობლივი ბიზნეს-საქმიანობის წარმართვა ქართველებისა და აფხაზების დაახლოების საუკეთესო საშუალებაა. „ერთობლივი საწარმოების გახსნა ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში, ვაჭრობა, ბაზრობების გახსნა ხალხთა შორის ურთიერთობას აღადგენს. არსებობს აფხაზეთში მცხოვრები 350 ადამიანის სია, მათ შორის არიან აფხაზებიც, რომლებიც ლილოში დადიან და ჩააქვთ საქონელი აფხაზეთში. აქ ადგილებზე ბაზრობების გახსნით მათ გაუადვილდებათ საქმიანობა“, – აღნიშნა რეზო ბენდელიანმა.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზვიად ზვიადაძემ, რომელმაც მოისმინა დამსწრეთა მოსაზრება და იხილა ე.წ. საზღვრისპირა სოფელ ხურჩაში არსებული ვითარება, ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა სემინარის მონაწილეებს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

პოზიცია

# ამერიკასა და დასავლეთს საქართველო პაიკივით არ გაუწირავთ

**„ინტერპრესნიუსს“ ესაუბრება გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრის დირექტორი თენგიზ ფხალაძე.**



**– ბატონო თენგიზ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში არაოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ბარაქ ობამას და ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს შეხვდა. იგი შეხვდა სენატის „რესპუბლიკელ“ სპიკერსაც. რა პრაქტიკულ შედეგებს უნდა ველოდოთ აშშ-ში პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტისგან?**

– უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ დროის ხანმოკლე პერიოდში ორი ქვეყნის პრეზიდენტი ორჯერ შეხვდა ერთმანეთს, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფორმატიც, რა ფორმატშიც მიმდინარეობს პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტი. ოფიციალურად მისი ვიზიტი აშშ-ში უკავშირდება დიპლომატ ჰოლბრუკის ხსოვნას. ასეთ დროს, როგორც წესი, დელეგაციის წევრები შეირჩევიან ამერიკის პოლიტიკურ ელიტასთან მეგობრობისა და ახლო ურთიერთობის დონით.

ასეთ მეგობრულ ვითარებაში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი მიუთითებს, რომ ამერიკა საქართველოსთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან, ურთიერთობებს აღრმავებს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია 2010 წელს, 2011 წელს უნდა იყოს რეალიზებული. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ძალიან სერიოზული დიპლომატიური ბრძოლა, რომელიც გველის წინ. ამ ბრძოლაში კი ძალიან მნიშვნელოვანია აშშ-ს საქართველოსადმი მხარდაჭერა.

2010 წელს საქართველოსთან მიმართებაში პირველად ითქვა ისეთი ტერმინები, როგორიც იყო ოკუპაცია და ეთნიკური წმენდა. 2011 წელი უნდა იყოს 2010 წელს მიღწეულის გამყარების წელი და ჩვენ, პარტნიორებთან ერთად, უნდა მოვახერხოთ და ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიოთ, რომ ამ ტერმინებიდან გამომდინარე საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული შედეგები დადგეს. ეს არის ძირითადი ამოცანა, რისკენაც უნდა იყოს მიმართული საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთელი ძალისხმევა. ასეთ ფონზე ისეთი პარტნიორის მხარდაჭერა როგორიც ამერიკაა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**– საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აშშ-საქართველოს ურთიერთობები ღირებულებებს ეფუძნება, ვაშინგტონ-თბილისის შორის ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა გეოგრაფიულ მდებარეობას არა აქვს. აშშ-სა და რუსეთს შორის ღირებულებების თანხვედრა ნამდვილად არ არის, მეტიც, ვაშინგტონი აშკარად ხუჭავს თვალს რუსეთის არადემოკრატიულობასა და იმპერიულ ზრახვებზე. თქვენი აზრით, 2011 წელს რამდენად ადეკვატური იქნება თეთრი სახლი რუსეთის შეფასებისას და როგორ აისახება ეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხზე?**

– ვერ ვიტყვი, რომ აშშ თვალს ხუჭავს რუსეთის არადემოკრატიულობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონი მოსკოვის მიმართ უფრო შორსგამიზნულ და ნაკლებად ზიანისმომტან პოლიტიკას ატარებს. სამწუხაროდ, რუსეთი დღემდე რჩება იმ სახელმწიფოდ, სადაც ჯერ ფეხი ვერ მოიკიდა იმ ღირებულებებმა, რაზედაც დგას თანამედროვე მსოფლიო. სამწუხაროდ, რუსეთში ჯერ კიდევ ძლიერია იმის მცდელობა, რომ მსოფლიო ისე იყოს მოწყობილი, როგორც ეს მე-20 საუკუნეში, „ცივი ომის“ პერიოდში იყო. ამიტომაც არის, რომ საუბარია სიმძიმის ცენტრის, ანუ ახალი პოლუსის ჩამოყალიბებაზე და არა – მიზიდულობის ცენტრზე. აქცენტი ძირითადად კეთდება უხეშ ძალაზე და არა – ჯანსაღ კონკურენციაზე, არა უკეთესი პირობების შეთავაზებასა და ღირებულებების განვითარებაზე. ასეთ რეალობაში ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო რუსეთთან მიმართებაში. ვაშინგტონში კარგად ესმით, რომ მოსკოვის ზედმეტად გაღიზიანების შემთხვევაში საფრთხისა და პირველი დარტყმის ქვეშ, პირველ რიგში, აღმოჩნდებიან რუსეთის მეზობელი ქვეყნები და არა – აშშ. ამის გათვალისწინებით, ვაშინგტონი ვალდებულია, იზრუნოს თავისი პარტნიორების უსაფრთხოებაზე და ეცადოს ის გამაღიზიანებელი ფაქტორები, რომელიც ორ ქვეყანას შორის არსებობს, მაქსიმალურად მოიხსნას.

იხ. 4 გვ.

ვინ არის „აუდიტორიის“ აუდიტორია?

# რა აღიზიანებს და არ მოსწონს გია ბუღაძეს?

## ანუ საშინელი რუსული ესტრადა, დანგრეული „იმელი“ და ა. შ.

**საზოგადოებას კარგად ახსოვს სულ ცოტა ხნის წინათ სიმართლისთვის ხმალშემართული ეკა ხოფერია, რომელმაც თავის დროზე სკანდალურად დატოვა „რუსთავი-2“. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და „გლახის ნაამბობიდან“ თამროსი არ იყოს, აღარც ეკა არის ის ეკა.**

**ხოფერია, რომელმაც, სამწუხაროდ, ქართველ ჟურნალისტთა ის რიგები შეავსო, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ ემსახურებიან ნაცების პროპაგანდისტულ მანქანას, რისი თვალსაჩინო დასტურიც ეკა ხოფერიას საავტორო გადაცემა „აუდიტორია“ და ამ თოქშოუს აშკარად თითიდან გამოწოვილი „აქტუალური“ თემებია.**

აგერ ახლაც, გასულ ორშაბათს ვინც ამ გადაცემას და მისი სტუმრების ჭრელ შემადგენლობას უცქირა, დამეთანხმება, რომ ნამდვილად არ ვაჭარბებ.

რა გაღიზიანებთ, რა არ მოგწონთ? – აი, გადაცემის მთავარი კითხვა. და თურმე ნუ იტყვით, ჩვენს ქუჩებში უდისციპლინო მძღოლებისა და ქუჩაში დაყრილი ნაგვის გარდა, გასაღიზიანებელ-აღმაშფოთებელი ჩვენს სინამდვილეში არაფერი ყოფილა. რა თქმა უნდა უტრირებაც არ არის ამის თქმა, მაგრამ საერთო ჯამში, სიმართლეა – მთელი გადაცემა ასეთი „მნიშვნელოვანი“ თემებით იყო გაჯერებული.



გადაცემის სტუმრებიდან ერთადერთი, ვინც ღირსების მეტნაკლებად შენარჩუნება შეძლო, ეს ზურა ყიფშიძე იყო. დანარჩენები, რომ იტყვიან, ზოგი შეწვი და ზოგიც მოხრაკეო, ასე იყო. თუმცა ამ „შემწვარმოხრაკულებსაც“ ჰყავდათ ლიდერი გია ბუღაძის სახით.

მე ეს საშინელი რუსული ესტრადა მაღიზიანებს და როდესაც ტაქსში ვჯდები, თუ მძღოლს რუსული ესტრადა აქვს ჩართული, აუცილებლად ვათიშინებ, რადგან ოკუპანტის მუსიკა არ მინდაო!

ასეთები ბევრი გვსმენია სხვა ნაცებისაგანაც, მაგრამ ერთია, როცა ამას ამბობენ ნუგზარ წიკლაურის მსგავსი ურაპატრიოტები და მეორეა, როცა ამას ამბობს ხელოვანის სახელზე პრეტენზიის მქონე, სამხატვრო აკადემიის რექტორი – აბა, ასეთი „გაგების“ კაცმა, რა უნდა ასწავლოს ჩვენს შვილებს?

რუსული ესტრადა შეიძლება მოგწონდეს ან არა, მაგრამ ცოტა უხერხული ხომ არ არის, ქართული ესტრადის დონის გათვალისწინებით, რუსულ ესტრადას საშინელი უწოდო? ან რას მიქვია, ოკუპანტის მუსიკა? გნებავთ ზოგადად, ოკუპანტის ხელოვნება? ამისთანა რამ ბოლშევიკებსაც კი არ მოსვლიათ თავში, მაშინაც კი, როდესაც გერმანელი ფაშისტები მოსკოვთან იდგნენ, არავის უფიქრია: ბახის, ბეთჰოვენის მუსიკისა თუ გოეთეს, თომას მანის და სხვა მრავალთა ნაწარმოებების აკრძალვა.

ესეც არ იკმარა აკადემიის რექტორმა და „იმელის“ შენობის განადგურების გამოც ღვარა ნიანგის ცრემლები. თითქოს მე და თქვენ ვიყოთ „იმელის“ ისტორიული შენობის იავარმქნელები და არა გია ბუღაძის საყვარელი პრეზიდენტი თუ ქალაქის მერი.

დაბოლოს, ყველას ერთად მინდა მივმართო იმ „აუდიტორიის“ აუდიტორიას – გაგლეჯილ-გამოგლეჯილი, ტერიტორიებდაკარგული საქართველო არ გაღიზიანებთ? ან, ნახევარი საქართველო რომ გაემიგრანტეს და მეორე ნახევარს სილატაკეში ამყოფებენ? ან, ქვეყანაში რომ ამდენი მათხოვარია და მიუხედავად ამისა, თბილისიდან ვიდრე ბათუმ-მესტიამდე უაზრო ტაშფანდურში ყრიან მილიონებს? ან, ტოტალური უსამართლობა და აქედან გადავსებული ციხეები? ან, ბოლოს და ბოლოს, როგორ არავის გაგახსენდათ, რომ ამას წინათ, ორი შვილის დედამ თავი დაიწვა.

მაგრამ არა! ეკა ხოფერიას და მის მსგავსთა საავტორო გადაცემები ასეთ გაღიზიანებებს არ ითვალისწინებენ, რადგანაც მათი ფუნქცია ის არის, რომ მიუხედავად ყველაფრისა, თვალებში ნაცარი შეგვაყარონ და დაგვიმტკიცონ, რომ „ცხოვრება მშვენიერია“.

**დავით მხეიძე**

ინფორმაცია

### რუსულ-აფხაზური კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას „ცინიკურს“ უწოდებს

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ეთნიკურ ქართველებთან დაკავშირებით რუსულ-აფხაზური კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას „ცინიკურად“ აფასებს.**

**– ეს არის ცინიკური გადაწყვეტილება, რაც 21-ე საუკუნისთვის სრულიად მიუღებელია. ძნელია ის მარიონეტული რეჟიმის გადაწყვეტილებად ჩაითვალოს, რადგან, სინამდვილეში მას მოსკოვი იღებს“, – ქვეყნის პირველი პირის ეს პოზიცია ჟურნალისტებს გუშინ გამართულ ბრიფინგზე მისმა პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააცნო.**

**ამასთან, მანჯგალაძის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ეთნიკური ქართველების ქონებრივი დავების განხილვაზე უარის თქმის გადაწყვეტილება ნათლად აჩვენებს, თუ როგორი სამართლებრივი ნორმები მოქმედებს რუსეთში და როგორ იცავს მოსკოვი ფედერაციაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, ამ შემთხვევაში კი, ქართველების უფლებებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჟიურიდან ჟიურამდე

**დაიწყო 2011 წელი და განახლდა ყველაზე საინტერესო შოუ „ნიჭიერი+“.**

არა, მე იმ შოუზე კი არ ვლაპარაკობ, რომელიც მართლაც საინტერესო იყო და საკმაოდ ბევრ ნიჭიერ ადამიანს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება მისცა.

ამ წერილში იმ „ნიჭიერებზე“ მინდა გესაუბროთ, რომლებსაც თავი რატომღაც ქართული პოლიტიკისა და საზოგადოებრივი აზრის შემოქმედნი ჰგონიათ და გვინდა, თუ არ გვინდა, სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივებისა თუ სხვადასხვა გამოცემების მეშვეობით, ძალით გვახვევენ თავს, საკუთარი „ნიჭის“ შედეგებს.

ისინი შოუ „ნიჭიერი+“-ში მონაწილეობენ და თითქმის ყოველდღე გვაოცებენ თავიანთი შესაძლებლობებით.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი წლის საზეიმო განწყობამ უკვე ჩაიარა, საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, საშობაოდ შემწვარი ქათმიდან, „ბუნდღაც“ აღარ დარჩა და ბოლო პურისჭამიდან, დილით პახმელიაზე გამოღვიძებულს, ჯიბეში ობლად მოწკრიალე ორი ხუთთეთრიანი შერჩა ხელში, მათ მაინც აიღეს თავის თავზე ჟიურის ფუნქციები და ამ ყველაზე ფართომასშტაბიანი შოუს რამდენიმე ნომინანტი მაინც დაასახელეს.

პირველი ადგილის კანდიდატის დასახელების პროცესში, ჟიურის აზრი ორად გაიყო.

ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ეს ადგილი ეკუთვნოდა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პროგრამისთვის, რომლის სახელწოდებაა „კარიბის ზღვის მეკობრეები“ და რომელიც მან სათაფლიაში წარმოგვიდგინა.

ჟიურის დანარჩენმა წევრებმა განაცხადეს, რომ ეს პროგრამა შარშან იქნა შესრულებული და დებულებით კონკურსში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა.

ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ბატონი მიხეილი 2011 წლის განმავლობაშიც არ უღალატებს ჩვევას და უამრავ ახალ, საინტერესო და გასაოცარ პროგრამებს შემოგვთავაზებს.

აქედან გამომდინარე, პირველ ადგილზე ბატონი გია თორთლაძე გავიდა, რომელმაც პოლიტიკური მიზნით, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის მწვერვალები, ქართული ხუთჯვრიანი დროშით დალაშქრა.

ბატონმა გიამ გადაწყვიტა, ასეთი ფორმით ებრძოლოს რუსეთის აგრესიას და მსოფლიოს დაანახოს რუსეთის ნამდვილი სახე.

მწვერვალ მერსედარიოზე აკლიმატიზაციის გავლის შემდეგ, რუსულ იმპერიალიზმთან მარტო მებრძოლი რაინდი, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის უმაღლეს მწვერვალ აკონკაკუას მარტო შეეჭიდა და წარმატებით დალაშქრა.

მან ყველა აღებულ სიმაღლეზე, სხვა ალპინისტებისათვის საქართველოს დეოკუპაციის მოთხოვნით სპეციალური ბუკლეტები დატოვა, რომელთა დევიზია „საქართველო ოკუპანტების გარეშე! რუსეთმა უნდა დატოვოს საქართველო!“.

დეპუტატი ამჟამად უკვე მესამე მწვერვალის დასაპყრობად ემზადება.

რას ერჩი? შესანიშნავი გადაწყვეტილებაა და რაც მთავარია, ძალიან „ნიჭიერი“.

ეჰ, ოკუპანტებთან ბრძოლის ეს „მეთოდი“ რომ სცოდნოდათ ჩვენს წინაპრებს, რამდენ უბედურებას გადარჩებოდნენ,

# ნიჭიერი+




მაგრამ ნიჭი უნდა ყველაფერს, ნიჭი.

ვერ გეტყვით, ბრძოლის რომელი ხერხია უფრო მომგებიანი: სიმღერა, თუ აკონკაკუას დალაშქვრა. ამას ალბათ დრო გვიჩვენებს, მაგრამ ამ „გამოსვლამ“, შესაძლებელია, დიდი სტიმული მისცეს საქართველოს პარლამენტის სხვა წევრებს.

მაგალითისთვის, შესაძლებელია, რომ გიორგი ასანიძემ იგივე მოთხოვნით შტანგა ასწიოს, ან გია როინიშვილი საქართველოს ნატოში მიღების მოთხოვნით, მივიდეს ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინასთან და წარმოადგინოს ფრაგმენტი სპექტაკლიდან „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ (ოღონდ აქ სათაურის შეცვლა მოგვიწევს. ახალ სპექტაკლს ერქმევა: „ჯერ დაიხოცნენ და ნატოში მერე შევიდნენ“ძ.

წარმომიდგენია, რა დაემართებათ ევროკავშირისა და ნატოს ხელმძღვანელებს, როდესაც გაიგონებენ: „მაშიკოო, სულიკოო“. დარწმუნებული ვარ, რომ რასმუსენი, სულ „ბრავოს“ და „ბის“-ის ძახილით აგვიხდენს ამ „ოცნებას“.

პრინციპში, თორთლაძის ბრძოლამ გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო.

როგორც „რუსთავი 2“-მა გაზეთ „ნიუ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე დაყრდნობით გვამცნო (ცხადია ოდნავ ირონიული და ბედნიერი ტონითძ, რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი, შესაძლოა ევროკავშირის შავ სიაში მოხვდეს.

„ნიუ ტაიმსისა“ და „კურიერის“ მიხედვით, ევროპარლამენტი სავიზო და ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს იმ ჩინოვნიკებს, რომელთა უშუალო ჩარევითაც „იუკოსის“ ყოფილი ხელმძღვანელი მიხეილ ხადარკოვსკი გაასამართლეს.

თუ იმ გაზეთს და კურიერს დავუჯერებთ, მსგავსი პრეცედენტები, რუსეთის ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას მოახდენს და ვაშაა, გაიხარე ლევან რამიშვილო!

მიუხედავად იმისა, რომ იმ სტატიაში არაფერია ნათქვამი ქართველი ალპინისტისა და დეპუტატის შესახებ და ევროკავშირის სავარაუდო სანქციები მიხეილ ხადარკოვსკის „ბრალდება“, ჩვენ ქართველებმა ხომ ვიცით, რა ხდება სინამდვილეში.

ასე რომ, ამის შემდეგ, როცა პეტრე პირველის ქართველობაზე დავიწყებთ საუბარს, პუტინისთვის ევროპული ვიზის ჩამორთმევის საკითხიც არ დავივიწყოთ.

არადა არც კურიერს და არც იმ გაზეთს, არაფერი უთქვამთ იმ სავარაუდო სანქციების შესახებ, რაც ევროკავშირის ქვეყნებს ელოდებათ, თუ მსგავსი „ნიჭიერობა“ მოუვათ თავში, მაგრამ ჩვენ ქართველებს, ამ შემთხვევაშიც „თავი ქუდში გვაქვს“: ვიტყვით, მაინც კასპიდანაა პუტინი და მთლად ვერ გავიმეტეთო.

ისე რაღა დაგიმალოთ და რატომღაც „რუსთავი 2“-ის „ნიუ ტაიმსური“ წყაროს არსებობის არ მჯერა და ეს სენსაციური ინფორმაცია ამ ტელევიზიაში მომუშავე „ნიჭიერების“ გონებრივი შრომის „ნაყოფი“ მგონია, მაგრამ რა ვიცი? ვიცი? არ ვიცი!

ჰო, პრესასთან დაკავშირებით გამახსენდა მეორე ნომინანტიც.

მეორე ადგილზე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული სკანდალები გავიდა.

აქ კონკრეტული გვარის დასახელება საკმაოდ ძნელია, რადგანაც ვერ გაიგებ, რომელი „სკანდალი“ რომელი „ნიჭიერის“ ტვინში აღმოცენდა.

არადა ამ დღეებში იმდენი „ექსკლუზივი“, იმდენი „სენსაციური“ განცხადება გამოქვეყნდა, რომ ყველას ჩამოთვლა ფაქტობრივად შეუძლებელია.

შემდეგ ცოტა დავფიქრდი და რატომღაც ვიფიქრე, რომ ქართული ახალი წელი, ფრიად დატვირთულია ალკოჰოლითა და მისი დიდი რაოდენობის მიღების შემდგომი, საშინელი შედეგებით.

მაგრამ ჟიურის ჩემი ეს ბოლო მოსაზრება არ აინტერესებს და ამიტომ მეორე ადგილზე, „სკანდალური თემები ქართულ პრესაში“ გავიდა.

დღეს მეტს აღარ გადაგტვირთავთ და ამით დავამთავრებ შოუს „ნიჭიერი+“-ის მეორე ტურში გასულთა ჩამონათვალს.

წერილის ბოლოს კი გეტყვით, რომ როგორც ვნახეთ, ამ ხალხს გაცილებით უფრო ფართო ასპარეზი აქვთ, ვიდრე შოუ „ნიჭიერის“ მონაწილეებს და სამწუხაროდ, თუ ამ უკანასკნელთა გამოსვლებს მხოლოდ „რუსთავი 2“-ის საშუალებით, მხოლოდ კვირაში ერთხელ ვნახულობთ (ნუ myvideo.ge არ ითვლებაძ და მათ მხოლოდ სამკაციანი ჟიური, ვანო ჯავახიშვილის, სოფო ნიჟარაძისა და გეგა ფალავანდიშვილის შემადგენლობით აფასებს (მაია ასათიანი, სოფო ნიჟარაძემ ჩაანაცვლა, ხოლო ნიკა მემანიშვილი – ვანო ჯავახიშვილმა და რაც მართალია, მართალია, რომ ეს არის ერთადერთი „კარუსელი“, რომელმაც გაამართლაძ, „ნიჭიერი+“-ის მონაწილეები ყოველდღე სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით ამტკიცებენ თავიანთ „უნარს“ და გვაჩვენებენ თავიანთ „შესაძლებლობებს“.

ამ დროს კი ნამდვილი ჟიური, ანუ ქართველი ხალხი დუმს და არაფრისდიდებით არ აჭერს ხელს იმ წითელ ღილაკს, რომელიც არა თუ მეორე ტურში მონაწილეობას აუკრძალავს ზემოთ ნახსენებ „ნიჭიერებს“, არამედ საერთოდ მოაცილებს ქართული საზოგადოებრივ ცხოვრებას.

არადა, რაც გინდა თქვი, მაგრამ მართლაც ძალიან ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები!

**გია გაბრიჭიძე**

დღევანდელობა

# ის ოსებიც კი, რომელთაც განცალკევებით ყოფნა სურდათ, წუხილს გამოთქვამენ თავიანთი მდგომარეობის გამო



***სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში ცეზარ ჩოჩელი შატილისა და მუცოს მკვიდრთ რეგიონში დაბრუნებას ურჩევს. ჩოჩელის ინიციატივით, სულ მალე ამ ადამიანებისთვის სპეციალური პროგრამა შემუშავდება და ისინი საოჯახო სასტუმროებში დასაქმდებიან.***

**— ბ-ნო ცეზარ, კონფლიქტურ რეგიონებში რამდენად უსაფრთხოა მოსახლეობის ცხოვრება, ე.წ. დე ფაქტო რეგიონიდან თუ გადმოდიან?**

—ორი ხალხის შერიგებისთვის ყველაფერს ვაკეთებთ. თუმცა უშუალოდ იმ ხალხთან მოლაპარაკება, ვინც ჩვენი ტერიტორია დაიკავა, შეუძლებელია. ესაა ხალხი, ვისთანაც პირადად ჩემთვის მოლაპარაკება წარმოუდგენელია, რადგან მათ ღირებულებები არ გააჩნიათ. ახალგორიდან ყოველდღე მოძრაობს 10 ერთეული ტრანსპორტი და ორი ხალხი ერთმანეთთან კონტაქტს ახერხებს. ოსები წუხილს გამოთქვამენ საკუთარი მდგომარეობის გამო, რა დღეშიც დღეს არიან. თვით ის ოსებიც კი, რომლებსაც საქართველოსგან განცალკევებით ყოფნა სურდათ, დღეს უკვე ნანობენ შეცდომას და ამას ქართულ მხარესთან ურთიერთობისას არც მალავენ.

**—მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის, ასევე, აქტუალურია დევნილების პრობლემა. თქვენთან დევნილთა კომპაქტური ჩასახლებებია. მათი პრობლემის მოსაგვარებლად რა კეთდება?**

—ჩვენთან დევნილთა რამდენიმე მსხვილი დასახლებაა – წეროვანში, წილკანში, ფრეზეთში. წეროვანში მოვაწყვეთ სკოლა, საბავშვო ბაღი, სპორტული და საჭიდაო კომპლექსები. მათი მშენებლობა 2009 წელს დაიწყო და 2010-შიც გრძელდებოდა. დევნილებისთვის პირობების გაუმჯობესების მიზნით აშენდა ერთი წარმოებაც. მარტო წეროვანში, როგორც მინიმუმ, 25 კომერციული ობიექტია. სულ რაღაც ერთ კვირაში ან ათ დღეში წეროვანში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობა დასრულდება. ასევე, ვეხმარებით დევნილებით დასახლებულ სოფელ ფრეზეთს. აქ მოგვარებულია სკოლის პრობლემა. უახლოეს ხანში კი გვინდა პატარა ამბულატორიაც მოვაწყოთ. წყალი და გაზი ადგილზეა მიყვანილი. ამასთან, კეთდება სპორტული მოედანიც. რაც შეეხება წილკანს, ეს სოფელი რეალურად მიბმულია წეროვანზე, მათ შორის მანძილი 2 კილომეტრია. მომავალ წელს იქ სკოლა აშენდება.

**— რა მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა 2010 წელს რეგიონში?**

— 2010 წელს ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა რეგიონში. ერთ-ერთი გახლდათ ძველი მცხეთის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, ცალკეული რეგიონების მიხედვით, გზების, წყლის, გაზიფიცირების პროექტები განვახორციელეთ. ვმუშაობდით ინდივიდუალური გამრიცხველიანების პრობლემის მოსაგვარებლად მცხეთაში, დუშეთსა და ყაზბეგში, რაც განსაკუთრებულად მტკივნეული გახლდათ მოსახლეობისთვის. ამ საკითხზე მუშაობა 2011 წელსაც გაგრძელდება.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია



## სააკაშვილი ლუკაშენკოს ინაუგურაციას არ დაესწრება

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბელორუსელი კოლეგის ალექსანდრ ლუკაშენკოს ინაუგურაციას არ დაესწრება.**

**როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, შესაბამისი მოწვევა ადმინისტრაციაში არ შესულა.**

**შეგახსენებთ, რომ ბელორუსში საპრეზიდენტო არჩევნები დეკემბერში ჩატარდა. ახალი ვადით არჩეული ძველი პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს ინაუგურაცია 21 იანვარს გაიმართება.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 11. ოთხშაბათი, 19 იანვარი, 2011 წელი.

◉ პოზიცია

# ამერიკასა და დასავლეთს საქართველო პაიკივით არ გაუწირავთ



(მეორე გვერდიდან)

2010 წელს, „გადატვირთვის პოლიტიკის“ ფარგლებში სტრატეგიული გადაწყვეტილებებია მიღებული. ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში, პრაქტიკულად, ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად რუსეთთან თანამშრომლობა ჩაიწერა. აშშ ცდილობს, დაარწმუნოს რუსეთი, რომ ნატოსთან თანამშრომლობა რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ვაშინგტონი ცდილობს მოსკოვის იმ საერთაშორისო პროექტებში მაქსიმალურად ჩართვას, რომელიც „ცივი ომის“ სტერეოტიპებიდან გამოიყვანს. ეს 21-ე საუკუნის ერთ-ერთი გამოწვევაა. რაც უფრო მალე დაინგრევა „ცივი ომის“ სტერეოტიპები, მით უფრო ადვილი იქნება რუსეთთან თანამშრომლობა და მით უფრო მალე ჩაეწერება ეს სახელმწიფო ცივილიზებული მსოფლიო თანამეგობრობაში.

**— სააკაშვილის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე პენტაგონმა რუსეთის ბრალდებას უპასუხა და უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ვაშინგტონი თბილისს იარაღს კვლავ აწვდის. რუსეთმა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში C-300-ის გარდა, ცხინვალის რეგიონში ე.წ. „სმერჩები“ განალაგა, ასეთ ფონზე, უცნაურად ხომ არ გამოიყურება სტრატეგიული მოკავშირის მხრიდან საქართველოსთვის იარაღის მიუწოდებლობაზე რუსეთის მოთხოვნის შესრულება. აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს დელეგაციას პრეზიდენტის ხელმძღვანელობით შეხვედრა ჰქონდა კონგრესის შეიარაღების კომიტეტში. ამერიკის მიერ საქართველოსთვის იარაღის მიწოდების საკითხში რაიმე სიახლეს ხომ არ შეიძლება ველოდოთ?**

— საქართველო არ არის ის სახელმწიფო, რომელიც შეიარაღების გაზრდას შეტევითი იარაღის შეძენის ხარჯზე ცდილობს. რუსეთი ცდილობს, საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს ხდება საქართველოს მილიტარიზაცია და საქართველო ომისთვის ემზადება. ამ დროს საქმე სულ სხვა რამესთან გვაქვს. კერძოდ, საქართველო არ ყიდულობს შეტევითი და თავდასხმის იარაღს. საქართველო იძენს მხოლოდ და მხოლოდ იმ შეიარაღებას, რაც აუცილებელია თავდაცვისთვის. ეს თანხვედრაშია იმ განცხადებებთან, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ევროპარლამენტში გააკეთა. ამ განცხადებებით საქართველომ ცალმხრივად აიღო საერთაშორისო ვალდებულება, რომ არავითარ შემთხვევაში არ ეცდება კონფლიქტების ძალისმიერი გზებით მოგვარებას და ძალის გამოყენების უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს, თუ მის წინააღმდეგ განხორციელდა მორიგი აგრესია.

მოგვყიდის თუ არა ამერიკა სამხედრო იარაღს, ამაზე ალბათ უკეთესად სამხედრო ექსპერტები ისაუბრებენ, მაგრამ რამდენადაც ვიცი, საქართველო თავდაცვის სფეროს საკითხებში აქტიურად თანამშრომლობს როგორც აშშ-სთან, ისე ნატოს წევრ სხვა ქვეყნებთან. ჩემი აზრით, ნატოსთან თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში თანამშრომლობაში საქართველოს პრობლემა არა აქვს. საქართველოს მისამართით მოსკოვის ბრალდებები იმის გადასაფარად ჟღერს, რომ რუსეთმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისი სამხერო ძალების გაძლიერება და ბაზების მშენებლობა გაამართლოს.

**— კვლავ აქტუალური რჩება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებაზე საქართველოს პოზიცია. თქვენი აზრით, ამ საკითხში რაიმე სიახლე ხომ არ შეიძლება ყოფილიყო?**

— ჩემთვის ძნელია საუბარი, თუ ამ თემასთან დაკავშირებულ რა კონკრეტულ დეტალებზე საუბრობდა ორი პრეზიდენტი, მაგრამ შეხვედრის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ შეხვედრაზე საუბარი იყო ძირითადად სამ საკითხზე — უსაფრთხოება, ეკონომიკური თანამშრომლობა და აისაფის (ISAFძ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობა.

ბუნებრივია, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების თემა გახლავთ ის საკითხი, რომელსაც პრეზიდენტები სავარაუდოდ ვერ აცდებოდნენ. ამ საკითხზე საქართველოს აქვს თავისი პოზიცია და მეგობრებთან და პარტნიორებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა, რათა საქართველომ მიიღოს პლუსების ის მაქსიმუმი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებას. მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სჯობია, მოწინააღმდეგე თამაშობდეს იმ წესებით, ვიდრე ჩვენ ვთამაშობდეთ მოწინააღმდეგის წესებით. რაც უფრო მეტად იქნება რუსეთი ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, მით უფრო ადვილი იქნება მასთან საუბარი. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ რუსეთს უპირობოდ უნდა დავუთმოთ ყველაფერი. საქართველომ უნდა მიიღოს მაქსიმალური სარგებელი რუსეთის ვაჭრობის ორგანიზაციაში გაწევრების სანაცვლოდ. ეს ის თემაა, რომელიც 2011 წელს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

**— ფაქტია, რომ რუსეთის მოქმედებების საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში მოქცევა ვერც გაეროში, ვერც ეუთოსა და ევროსაბჭოში, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ვერანაირად ვერ ხერხდება. პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ რიჩარდ ჰოლბრუკი ის ამერიკელი დიპლომატი იყო, რომელმაც რუსეთ-საქართველოს ომი იწინასწარმეტყველა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ვაშინგტონი რუსეთ-საქართველოს მეორე ომის განმეორების პრევენციაზე უფრო ზრუნავს და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების ლიკვიდაცია შორეული პერსპექტივისთვის გადაიდო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— გეთანხმებით იმაში, რომ 2008 წლის აგვისტომ სურათი რადიკალურად შეცვალა და იმ პრობლემების მოგვარებამ, რომელიც 2008 წლის აგვისტომდე უფრო ახლო პერსპექტივაში მოიაზრებოდა, ახლა უფრო შორეულ პერსპექტივაში გადაიწია. მე შორს ვარ ყოველგვარი შეთქმულებების თეორიებისაგან, რომელიც, ჩემდა სამწუხაროდ, საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება. საუბრებს იმაზე, რომ ამერიკამ და დასავლეთმა საქართველო პაიკივით გაწირეს, არანაირი საფუძველი არა აქვს.

2008 წლის შემდეგ დასავლეთს ორი წელი დასჭირდა, რათა აგვისტოს ომთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია ჩამოეყალიბებინა და მისულიყო იმ გადაწყვეტილებებამდე, რომელიც აისახა ლისაბონის სამიტის დოკუმენტებში. დასავლეთს საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, რომ 2010 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე მიეღო ის რეზოლუცია, რომელიც დევნილთა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაბრუნებას ითვალისწინებს. ამას დაემატა ის, რომ უკვე არსებობს სამოქმედო გეგმა, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებს და „ჩართულობას თანამშრომლობისთვის“ უკავშირდება და, რომლის რეალიზება 2011 წელს დაიწყება. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი არის საფუძველი, რომელზეც შეიძლება აშენდეს პროცესი. რა თქმა უნდა, ახლა უფრო შორეულ პერსპექტივაზეა საუბარი და ეს არ არის ისე ახლოს, როგორც 2008 წლამდე იყო. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმედის გადაწურვა სწორი არ იქნება. რამდენად შევძლებთ ჩვენ ამ კონფლიქტების მოგვარების მოახლოებას, ეს ჩვენი დიპლომატიისა და სახელმწიფოს სიძლიერეზე, ჩვენს მოთმინებაზე იქნება დამოკიდებული. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ რამე შეცდომის დაშვების უფლება პრაქტიკულად არა გვაქვს.

**კობა ბენდელიანი.**

◉ დღევანდელობა

# ის ოსებიც კი, რომელთაც განცალკევებით ყოფნა სურდათ, წუხილს გამოთქვამენ თავიანთი მდგომარეობის გამო

(მესამე გვერდიდან)

**— მცხეთის საბოლოო რეაბილიტაცია როდის დასრულდება?**

— მცხეთის რეაბილიტაცია 2011 წლის პრიორიტეტად ისევ რჩება. ჯერ მხოლოდ 20 პროცენტია რეაბილიტირებული და 20 პროექტის რეაბილიტაცია მოვახდინეთ. ამასთან, მდინარე არაგვის გასწვრივ ვგეგმავთ ახალი ტურისტული უბნის მოწყობას, საიდანაც მშვენიერი ხედები იქნება.

**— თავისი ცნობილი სანახაობებიდან გამომდინარე, ვგულისხმობ მცხეთას, ყაზბეგს, შატილს, მუცოს ხეობას, მცხეთა-მთიანეთის რეგიონი ალბათ კვლავაც რჩება ტურისტებისთვის მიმზიდველ ზონად.**

— დიახ. იმის მიუხედავად, რომ უკვე საკმაოდ აცივდა, ტურისტების ნაკლებობას არ ვუჩივით. პირიქით, შარშანდელთან შედარებით, მათი რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. წელს მაქსიმალურს გავაკეთებთ და ტურისტებისთვის ალბათ ბევრად უკეთესი იქნება არა მარტო მცხეთის, არამედ ყაზბეგის, შატილის დათვალიერებაც. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ჩამოსული უცხოელები განსაკუთრებით მცხეთით ინტერესდებიან. მართალია, ისინი ძირითადად ზღვას მიაშურებენ ხოლმე, მაგრამ მაინც გამონახავენ დროს, თუნდაც მცირე ვიზიტის ფარგლებში, მცხეთას ეწვიონ.

**— საქართველოში მთიანეთის პრობლემატიკა კვლავაც მტკივნეულია. რა უნდა გაკეთდეს მთაში ძირძველი მოსახლეობის შესანარჩუნებლად?**

— პრობლემები არა მარტო მთაში, ბარშიც საკმაოდაა, თითქმის იდენტური პრობლემებია. გზები, წყალი, ენერგეტიკა, გაზიფიცირება თანაბარ ყურადღებას მოითხოვს. ამ მხრივ, მთის სოფლები უყურადღებოდ არ გვყავს დატოვებული და ბართან ერთად, თანაბრად ვცდილობთ პრობლემის გადაწყვეტას.

**— განსაკუთრებით სასწრაფო ჩარევას რომელი რაიონი საჭიროებს?**

— სწრაფ ჩარევას საჭიროებს შატილი, მუცოს ხეობა, სადაც უნიკალური ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია აუცილებელია. საინტერესოა, რომ ხევსურეთში ჩასულ ტურისტთა უმეტესობა, სწორედ მუცოს ხეობას სტუმრობს. ამდენად, ოჯახური ტიპის სასტუმროების მოწყობა აქტუალურია. ამასთან, ვფიქრობთ, ტურისტული ცენტრის მოწყობას. საამისოდ ცალკე პროექტზე ვმუშაობთ. ვიმედოვნებ, მუცოს ხეობაში წელს უკეთესი შედეგი გვექნება. ამ ხეობაში ცოტაა მოსახლეობა. ამდენად, ჩვენი სურვილია, რომ იმ ადამიანებისთვის, ვინც მძიმე ზამთრის პირობების მიუხედავად, შატილსა და მუცოში დასახლებას გადაწყვეტს, სპეციალური პროგრამა შევიმუშაოთ და ისინი საოჯახო სასტუმროებში დავასაქმოთ. მათ გაცილებით მეტ სტიმულს მისცემს საოჯახო მეურნეობის მოწყობა და მცირე ზომის საოჯახო სასტუმროს არსებობა.

**— პატრიარქის ინიციატივით, საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ახალგაზრდა წყვილები უნდა ჩასახლდნენ, რომლებიც სოფლის მეურნეობას მიხედავენ. ამით რაიონების დაცარიალების მტკივნეული პროცესი შეჩერდება. როგორ შეაფასებთ ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას?**

— ვფიქრობ, ძირითადად მაინც სასურველი იქნებოდა, მუცოსა და შატილს იმ ადამიანთა შთამომავლები დაუბრუნდნენ, ვინც აქ ოდესღაც ცხოვრობდა. აქ მათ საკუთარი მიწები და მამაპაპეული ისტორიული ციხესიმაგრეები გააჩნიათ. თუმცა, თუ სხვა ადამიანებიც გამოთქვამენ სურვილს და ამ რეგიონში დასახლებას ისურვებენ, ჩვენ ყველანაირად დავეხმარებით. უწმინდესის წინადადება უაღრესად საინტერესოა. რაც უფრო მეტი ახალგაზრდა დამკვიდრდება სოფლად, შესაბამისად, მატერიალური დოვლათი შეიქმნება და საქართველოს სოფლის მეურნეობაც გაუმჯობესდება. ზოგადად, სოფლის მეურნეობის კუთხით საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს. ისიც რეალობაა, რომ ის ადამიანები, რომლებმაც მთა მიატოვეს, ხშირ შემთხვევაში, წინაპრების მიწასაც მოსწყდნენ და ქალაქშიც სამსახური ვერ იშოვეს. ამიტომ კარგი იქნება, თუ მშობლიურ მთებს დაუბრუნდებიან.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ინფორმაცია

## ბახმაროს განაშენიანების გენერალური გეგმა დამტკიცდა



**ჩოხატაურის საკრებულომ ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიების განაშენიანების გენერალური გეგმა დაამტკიცა, რომელიც კურორტზე სამთო-სათხილამურო კურორტის მშენებლობას ითვალისწინებს, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის ვალერი ჩიტაიშვილის განმარტებით, გეგმა უკვე დამტკიცებულია და ის მალე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარედგინება, რომელიც თავის მხრივ პროექტს ინვესტორებს წარუდგენს.**

**ტურიზმის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, ATC/Design Workshop -ის სამუშაო ჯგუფმა ბახმაროს საკურორტო პოტენციალი უკვე გამოიკვლია. პროექტი სარეკრეაციო ტერიტორიების სწორ დაგეგმარებას და ფუნქციების ზუსტად განაწილებას ითვალისწინებს. კვლევამ აჩვენა, რომ ბახმაროში სამთო ტურიზმის განვითარების დიდი შესაძლებლობაა, რისთვისაც კურორტზე სათხილამურო ტრასები უნდა მოეწყოს. ზაფხულში კომპანიებმა ტურისტებს სათავგადასავლო ტურები უნდა შესთავაზონ, თუმცა მანამდე კურორტზე ინფრასტრუქტურის მოწყობა და სასტუმროების გახსნაა საჭირო. ხოლო ტურისტებისთვის კურორტამდე მიღწევის საკითხი ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის საშუალებით იქნება უზრუნველყოფილი.**

ჯი-ეიჩ-ენი

***ბოლო დღეებში მასმედიაში, განსაკუთრებით კი სატელევიზიო გამოშვებებში დიდი რეზონანსი ჰქონდა ე.წ. „მეცნიერთა დაპირისპირების" თემას. არ ვიცი, რა საფუძველი აქვს ასეთ აჟიოტაჟს, მაგრამ სინამდვილეში საქმე ეხება ერთი ცნობილი გრაფომანის, გ. ყორანაშვილის, მართალია ათი წლის დუმილის შემდგომ, მაგრამ მაინც ტრივიალურ გამოხდომას ჩემს წინააღმდეგ. ჯერ ერთი, უნდა შევნიშნო, რომ გრაფომანობა სრულიადაც არ ნიშნავს მეცნიერობას, ხოლო ტრივიალური კი ეს აქცია არის იმიტომ, რომ იგი ჩვეულებრივია ზემოხსენებული სუბიექტისთვის ანუ, უფრო სწორად, ასეთია მისი ცხოვრების წესი — ცილისწამება. ეს, როგორც იტყვიან, არ ახალია, ძველია: უკვე ოცდახუთი წელია იგი ამ საქმიანობას ეწევა და მისი შინაგანი ბუნების მიზანსწრაფულ გამოვლინებას ვერ ასცდა ბევრი ცნობილი მეცნიერი: აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, პროფესორები ნანა ხაზარაძე და მიხეილ სამსონაძე; აწ გარდაცვლილი აკადემიკოსები გიორგი ჩიტაია, ნიკოლოზ ჭავჭავაძე, ოთარ ლორთქიფანიძე, გრიგოლ გიორგაძე, ედიშერ ხოშტარია, აკაკი სურგულაძე და სხვები.***

# „ზარათუშტრას" მეორედ გამოცხადება

## პასუხად ცნობილ გრაფომანს, ნაცარქექია ისტორიკოს გურამ ყორანაშვილს

უკვე ვწერდი, რომ ჩვენი გმირი, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ ფიზიკურ ტკბობას განიცდის, თუკი მის მიერ ამორჩეული „საბრალო მსხვერპლი„ მისი აზრით, პლაგიატში ამხილა. ასეთი ცილი დასწამა მან და წლების განმავლობაში, მართლაც, შავი ყორანივით „დასჩხაოდა" ისეთ გამორჩენილ მეცნიერს, როგორიც ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი იყო. ბატონი გიორგი, რა თქმა უნდა, ამ თავგასულ სუბიექტს თავს არ უყადრებდა და არც პასუხობდა, რაც ამ უკანასკნელს კიდევ უფრო აცოფებდა.

ბოლოს, ჩემი დირექტორობისას, ზემოხსენებული ინსტიტუტიდან წასვლის შემდეგ მეც გადმომწვდა, მაგრამ, როდესაც საკადრისი პასუხი მიიღო, ათი წლით გაიტრუნა. ახლა კვლავ ამოიღო ხმა! როგორც თვით განაცხადა ტელევიზიით, თურმე ეს წლები აკად. ნიკო ბერძენიშვილის და ჩემი შრომების კითხვას მოანდომა, რომ დაემტკიცებინა ათი წლის წინ ჩემს მიმართ გამოთქმული ბრალდება, თითქოს ნ. ბერძენიშვილის, ამ დიდი ქართველი ისტორიკოსის, ჩემი მასწავლებლის იდეები მივითვისე და საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების მისეული კონცეფცია ჩემად გამოვაცხადე, ანუ მაბრალებს იმასვე, რასაც ამ ათი წლის წინ მაბრალებდა.

მე აღარ ვაპირებდი პასუხის გაცემას, მაგრამ გადაწყვეტილება გადამათქმევინეს მასმედიის და, კერძოდ, 13-14 იანვრის და შემდგომ დღეებში არაერთხელ განმეორებით ნაჩვენები ტელერეპორტაჟების ჟურნალისტებმა („რეალ TV"-დან „იმედიდან" და „პირველი არხიდან"-ძ, რომლებმაც ისეთი გულმოდგინებით გაუკეთეს კუპიურები ჩემი საუბრის არსებით მხარეებს და ისეთი ხალისით მოასმენინეს საზოგადოებას ოპონენტის მიერ გამოთქმული, ბაზრის დედაკაცის საკადრისი უხამსი, შეურაცხმყოფელი სიტყვები ჩემს მიმართ, რომ აუცილებლად ჩავთვალე ამ წერილის გამოქვეყნება. რამდენადაც პრობლემა, როგორც აღვნიშნე ძველია, ამიტომ ზოგ რამეს ჩემს ათი წლის წინანდელ წერილს დავესესხები („ასე ამბობდა ზარათუშტრა„ ჟურნ. „ანალები" №2, 2001ძ.

სანამ ძირითად საკითხზე ვისაუბრებდე, უნდა გავაცნო მკითხველს, ვინ არის ბოლოს და ბოლოს ეს ჩვენი გრაფომანი, რა უნდა, რის პატრონია და რა მიზნები აქვს (ამის შესახებ იხ. აგრეთვე საგანგებო ბროშურა — „ტერორიზმი მეცნიერებაში" თბ. 1999).

განდიდების მანიით შეპყრობილი განათლებით ფილოსოფოსი, რომელიც თავს ხშირად იქებდა იმით, რომ საქართველოში მარქსიზმი მასსავით კარგად არავინ იცოდა, „გაისტორიკოსდა". ამ დარგში იგი ახალი მიმართულების შემქმნელია: სულ ცოტა უკვე ოცდახუთი წელიწადია, რაც ეს „კრიტიკული აზროვნების" მეცნიერი (როგორც ის თავის თავს მორცხვად უწოდებს), სხვის შემოქმედებაში იქექება ქართული ზღაპრის პერსონაჟის გულმოდგინებით, რათა იპოვოს, მისივე ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, „გაუგებრობანი" და „შეუსაბამობანი", ხოლო შემდეგ საკუთარი „ფანტაზიის მოშველიებით„ განაქიქოს საბრალო ავტორი. მართალია, ეს „გაუგებრობაშეუსაბამობანი" მისივე საკუთარი გაუგებრობის ან შეგნებული სიყალბის შედეგია, რაც ნათლად ვუჩვენე ერთ ჩემს წერილში („ერთი „ვერშემდგარი დისკუსიის" გამო". გაზ. „თბილისი" 23 ივნისი, 2001), მაგრამ ეს უკვე საკუთრივ მისი და ფსიქიატრთა პრობლემაა.

***ავტორი ამტკიცებდა, რომ ძველი კოლხეთის სამეფო სინამდვილეში არ წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. ფრიად ნიშანდობლივია, რომ ჩვენი გრაფომანი, „პლაგიატორობის ეს მტერი„ არსად არ უთითებს თავის წიგნაკში, რომ ეს მისი კი არა ნ. ბერძენიშვილის აზრია!***

ისტორიოსოფიის მანტიით შემოსილი ჩვენი გრაფომანი, ბიბლიური წინასწარმეტყველის მძვინვარებით, აშკარა პარანოიდალური აკვიატებით ქადაგებს ქართული ისტორიოგრაფიის „კრიზისული მდგომარეობის" შესახებ, რაც თურმე იმით არის გაპირობებული, რომ ივ. ჯავახიშვილის შემდეგ, საქართველოს „მოაზროვნე ისტორიკოსი" არ ჰყოლია (იგულისხმება „კრიტიკულად მოაზროვნე" ჩვენს გრაფომანამდე!). ამის შედეგია, რომ არავის ძალუძს შექმნას ჩვენი ქვეყნის „ფილოსოფიურად გააზრებული" და „სინთეზური" ისტორია. ამისათვის მოწოდებულია მხოლოდ ჩვენი ფილოსოფოსი...

მე ვწერდი, რომ საქართველოს ისტორიაში და მის დღევანდელ წყაროთმცოდნეობით ბაზაში გაუთვითცნობიერებულ ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს (და რამდენადაც მსგავსი ოპუსები ჩვენი გრაფომანისა სხვადასხვა ქართული გაზეთების ფურცლებზე დღემდე დიდი ხალისით იბეჭდება, ჩანს, ეჩვენება კიდეც), რომ ყოველივე ამის უკან რაიმე რეალურად ღირებული არის. სინამდვილეში ყოველივე ეს ჩვეულებრივი ბლეფია.

ამ ათიოდე წლის წინ, მან, მართლაც, სცადა ერთ-ერთ თეორიულ პრობლემაზე თავისი აზრი გამოეთქვა და გამოაქვეყნა კიდეც წიგნაკი — „საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხები" (თბ. 2000), რომელიც ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, ავტორის თანამონაწილეობით, ამ პრობლემის გარშემო გამართული დისკუსიის მთავარ საგნად იქცა. ავტორი ამტკიცებდა, რომ ძველი კოლხეთის სამეფო სინამდვილეში არ წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. ფრიად ნიშანდობლივია, რომ **ჩვენი გრაფომანი, „პლაგიატორობის ეს მტერი„ არსად არ უთითებს თავის წიგნაკში, რომ ეს მისი კი არა ნ. ბერძენიშვილის აზრია!**

დისკუსიამ ისე აშკარა გახადა მისი მეცნიერული ცოდნის სიმწირე და თეორიული ამბიციების კრახი (დისკუსიის მასალები გამოქვეყნდა კრებულში „ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან„ თბ. 2001), რომ მიღებული შოკის შემდეგ მას ერთი წლის განმავლობაში ხმა აღარ ამოუღია და მხოლოდ წლისთავზე სენსაციური განცხადება გააკეთა, რომ თურმე ჩვენს ინსტიტუტში „დისკუსია ვერ შედგა" (იხ. გაზ. „თბილისი" 2 ივნისი, 2001).

უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1998 წლის სამეცნიერო სესიაზე დიდი რიხით იქნა წაკითხული ჩვენი გრაფომანის მიერ მოხსენება XIIIს-ში ქართველ-მონგოლთა ერთ-ერთი ბრძოლის ლოკალიზაციის შესახებ. მოხსენების მოსმენის შემდეგ გამართული მოკლე მსჯელობის შედეგად გაირკვა, რომ მომხსენებელს **თემაც და დასკვნაც სიტყვასიტყვით გადმოუწერია ხაშურის გაზეთ „ალიონის„ 1990 წლის 17 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენციიდან ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირწმინდა პლაგიატი ჩაუდენია** (იხ. „ტერორიზმი მეცნიერებაში„ გვ. 30-31)!... და ასეთი მორალის მქონე სუბიექტი თავს უფლებას აძლევს სხვას დასწამოს ცილი პლაგიატორობაში?!

ეს ჩვენი პლაგიატორ-გრაფომანი, დამფუძნებელი ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ახალი მიმართულებისა, რომელსაც მე „ისტორიული ნაცარქექიობა„ ვუწოდე, კიდევ ერთი „ღვთიური მადლით" არის მოსილი — სიკეთის წილ ბოროტების მიზღვევის გასაოცარი უნარით (საამისო მჭევრმეტყველი მაგალითები, იხ. ჩემს წერილში „ასე ამბობდა ზარათუშტრა").

ათი წლის განმავლობაში ქართველ ისტორიკოსთა საზოგადოება მეტ-ნაკლებად მშვიდად იყო, ეგონა რა, რომ ჩვენი პლაგიატორ-გრაფომანი, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ისტორიის, დიდი ხნის წინ შეპირებული, „ფილოსოფიური გააზრებით„ არის დაკავებული (მით უმეტეს, რომ, ზემოხსენებულმა ტელეარხებმა არა ერთხელ ფრიად მეტყველად აჩვენეს თუ როგორ ჩაჰკირკიტებდა იგი ჭკვიანური სახით ფოლიანტებს), მაგრამ ნურას უკაცრავად! იგი ეს წლები თურმე ახალი შტურმისთვის ემზადებოდა. მართლაც, კვლავ წამოყო თავი და, ჩანს, ჩვეული გესლის ნთხევის გუნებაზეა.

კერძოდ, როგორც უკვე აღვნიშნე, ძველ ბრალდებას მიყენებს, ვითომდა ჩემი მასწავლებლის, აკად. ნ.ბერძენიშვილის იდეები მიმეთვისებინოს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის დარგში.

ისეთ ბრალდებაზე, როგორიცაა ის, რომ თურმე ნ. ბერძენიშვილი, ისევე როგორც მე, კვლევას ამ ასპექტით იწყებს ენეოლითის ხანიდან და ამთავრებს ბაგრატ III მეფობით (რაც თავისთავად ჩვენი პლაგიატორ-გრაფომანის უვიცობის მაჩვენებელია!), ამაზე იმის თქმა შემიძლია, რომ არამც თუ მეცნიერისთვის, არამედ ყველა ჭკუათამყოფელისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს სისულელეა. სხვა რომ არაფერი ითქვას, რა შუაშია აქ პლაგიატი?

მაგრამ მთავარი ბრალდება ის გახლავთ, რომ თურმე მე ნ. ბერძენიშვილისაგან მიმითვისებია საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების კონცეფცია, კერძოდ ის, რომ ჩემი აზრით საქართველოს ისტორია არსებითად სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს: 1. „გორების„ (გვაროვნული სამოსახლოების) ხანა — პირველყოფილ-თემური წყობილების პერიოდი. 2. „ხევების" ხანა — ე.წ. „სამხედრო დემოკრატიის" და ადრეკლასობრივი პერიოდები და 3. „ქვეყნების" ხანა — განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების პერიოდი.

მსგავსი მოსაზრება სხვადასხვა დროის ჩანაწერებში, მართლაც, აქვს გამოთქმული ნ. ბერძენიშვილს თავისი „საქართველოს ისტორიის საკითხების„ VIII ტომში, რომელიც გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1975 წელს, პროფ. დ. ბერძენიშვილის რედაქციით და შეიცავს ავტორის არქივიდან ამოკრებილ „მასალებს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის".

ჩვენი პლაგიატორ-გრაფომანი მადანაშაულებს, რომ, მე, ფაქტობრივად, მივითვისე ეს კონცეფცია და არ მივუთითე ავტორი, ხოლო მივითვისე მაშინ, როდესაც, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილის არქივის შემსწავლელი კომისიის წევრი, ამ მასალებს ვამუშავებდი. აი ეს ჰალუცინაციური ლოგიკა არის სწორედ ჩვენი პლაგიატორ-გრაფომანის ცილისწამების საფუძველი!

ჯერ ერთი, სინამდვილეში, კომისიის წევრად კი ამირჩიეს, მაგრამ, ფაქტობრივად, იმ კომისიაში არ მიმუშავია და არქივის მასალა არ დამიმუშავებია და მეორე, რაც მთავარია: **ჩემი ისტორიულ-გეოგრაფიული კონცეფცია მოხსენების სახით მე გავაცანი ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საზოგადოებას 1967 წლის საინსტიტუტო სესიაზე** (იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს განვითარების ძირითადი ეტაპები ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, 1967), **ხოლო აკად. ნ. ბერძენიშვილის არქივის შემსწავლელი კომისია შეიქმნა 1971 წელს!**

კიდევ მეტი. 1965 წელს მე აკად. ნ. ბერძენიშვილის თხოვნით საქ. მეცნ. აკადემიის ორგანოში („მაცნე" №2) გამოვაქვეყნე რეცენზია მის ახლად გამოსულ „საქართველოს ისტორიის საკითხების" I ტომზე, სადაც გადმოცემული მაქვს ჩემი შეხედულება ისტორიული გეოგრაფიის საგანზე და, სხვათა შორის, საქართველოს ისტორიის ამ თვალსაზრისით განვითარების პერიოდიზაციაზეც: „გორი"-დან (გვაროვნული სამოსახლოდან) „ხევის" წარმოქმნამდე და „ხევი"-დან სახელმწიფომდე. ყოველივე ამაზე ამ ათი წლის წინ მივუთითე ჩვენს პლაგიატორ-გრაფომანს, მაგრამ თუ ეს მან ვერ გაიგო, თავის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს დააბრალოს.

ასე რომ, მისი ჰალუცინაციური ინსინუაციები ჩემი პლაგიატორობის შესახებ, ცხადია, მისთვის ჩვეული ცხოვრებისეული ცილისმწამებლური განწყობაა,

***ასეთი გახლავთ ამ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის და ნაცარქექია ისტორიკოსის მეცნიერული და სულიერი ავლადიდება. და ამის პატრონი უტიფრად თავს ნებას აძლევს მორალისტის როლში მოგვევლინოს. თუმცა სულხან-საბას იგავის მორიელისა არ იყოს, „რა ქნას, ეგების, არც ნებავს, მაგრა ასეთის გვარისანი არიან, მტერსა და მოყვარეს ყველაყას უნდა უკბინონ!"***

რომელიც ერთის მხრივ, გაპირობებულია დისბალანსით, მის პირად ამბიციებსა და მათი დაკმაყოფილების ინტელექტუალურ შესაძლებლობაში. უნდა გავიმეორო ათი წლის წინათ ნათქვამი: ასეთი გახლავთ ამ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის და ნაცარქექია ისტორიკოსის მეცნიერული და სულიერი ავლადიდება. და ამის პატრონი უტიფრად თავს ნებას აძლევს მორალისტის როლში მოგვევლინოს. თუმცა სულხან-საბას იგავის მორიელისა არ იყოს, „რა ქნას, ეგების, არც ნებავს, მაგრა ასეთის გვარისანი არიან, მტერსა და მოყვარეს ყველაყას უნდა უკბინონ!"

**დავით მუსხელიშვილი,**
**აკადემიკოსი**

*P. S. ამ არაკაცს ვურჩევ, ვიდრე სასამართლოში მიჩივლებდეს, პირობისამებრ, მოიხსნას ყოველგვარი მეცნიერული რეგალიები, ხოლო ჟურნალისტებს — დაიცვან ობიექტურობა, გაუფრთხილდნენ ჟურნალისტის პრესტიჟს. მათი პროფესიისათვის ბუნებრივი სენსაციურობის ხარისხი, მგონია, არ არის აუცილებელი მათივე ზნეობრიობის შელახვის პირდაპირპროპორციული იყოს.*

*დ. მ.*

თითქმის დეტექტივი

# ბათუმური ხაფანგი

## სტუმარ-მასპინძლობის ნამდვილი ნაციონალური ამბავი



***ამ ამბავს დიდი ხნის, დაახლოებით ოცი წლის ისტორია აქვს და მისი ზოგიერთი პერიპეტიის გამოძახილი საზოგადოებრიობის ყურამდე კი აღწევდა, მაგრამ რამდენადმე მოგუდულად. შარშან ოქტომბერში კი ამ ისტორიამ კვლავ მიიპყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება, თანაც არა მარტო საქართველოში, არამედ ისრაელში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვაგან. 14 ოქტომბერს ბათუმში წარმოშობით ებრაელი ბიზნესმენი რონი ფუქსი და ერთ დროს მისი ფირმის თანამშრომელი ზეევ ფრენკელი დააკავეს. დღესდღეობით თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილი ამ ორი პირისა და კიდევ ერთი უცხოელი ბიზნესმენის, ეროვნებით ბერძენი იოანის კარდასოპულუსის საქმეს იხილავს (თუმცა ეს უკანასკნელი საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება). აღნიშნულ პირებს წაყენებული აქვთ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლით, რომელიც ქრთამის შეთავაზებისა და მიცემისთვის თავისუფლების 5-დან 8-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თუკი დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი.***

***საქმის ვითარებაში გასარკვევად მსჯავრდებულთა ინტერესების დამცველს, ადვოკატ არჩილ კბილაშვილს ვეწვიეთ.***

### ხანმოკლე „ქორწინება“

– ბიზნესმენები რონი ფუქსი და იოანის კარდასოპულუსი 1992 წელს საქართველოში მაშინდელ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასთან და სს „საქნავთობის“ თავკაცთან რევაზ თევზაძესთან მოლაპარაკების გასამართად ჩამოვიდნენ. **მათ, როგორც ინვესტორთა ინტერესს, „საქნავთობთან“ ერთად საქართველოს ტერიტორიაზე ერთობლივი საწარმოს შექმნა წარმოადგენდა, რომელსაც 30 წლის ვადით გადაეცემოდა საქართველოში არსებული ნავთობის რესურსების მოძიება, მათი გამოყენებისა და მართვის ექსკლუზიური უფლება,** – თქვა ბატონმა არჩილ კბილაშვილმა. – გამართულ მოლაპარაკებათა შედეგად, 1993 წელს მხარეებს შორის გაფორმდა საკონცესიო ხელშეკრულება, რომლის პირობების თანახმად იმ დროისთვის უკვე შექმნილ ერთობლივ საწარმოს, რომლის 50-50 პროცენტით მეწილეები ბატონების რონი ფუქსისა და იოანის კარდასოპულუსის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი კომპანია, ხოლო საქართველოს მხრიდან სს „საქნავთობი“ იყვნენ, რომლის აქციათა 100 პროცენტის მფლობელი სახელმწიფო იყო, **საქართველოში არსებული ნავთობსადენები და ის უფლებები გადაეცა, რომლებიც ნავთობის ძებნა-ძიების, ტრანსპორტირებისა და ექსპორტირების უზრუნველსაყოფადაა საჭირო.**

1993-95 წლებში აღნიშნული ერთობლივი საწარმო ამ უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით კონცესია გაუქმდა, ხოლო მისი უფლებები იმხანად ახლადშექმნილ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას გადაეცა, რომელსაც გიორგი ჭანტურია ხელმძღვანელობდა.

ამრიგად, ბატონებმა რონი ფუქსმა და იოანის კარდასოპულუსმა სწორედ მაშინ დაკარგეს საქართველოში თავიანთი საინვესტიციო უფლებები, სწორედ ამ დროს დასრულდა ამ ლამის დეტექტიური ისტორიის პირველი ეტაპი და შემდგომი მოვლენების ჩანასახიც გაჩნდა. მართალია, „საქნავთობის“ „ქორწინება“ უცხოელ ინვესტორებთან ხანმოკლე გამოდგა, სამაგიეროდ „განქორწინების“ ექო სადღეისოდაც ძალუმად გაისმის.

### ... მაგრამ „ვარდებმა“ მოუსწრეს

– მოყოლებული 1995-დან ვიდრე 2003 წლამდე პერიოდს, პირობითად, ამ ისტორიის მეორე ეტაპად შეიძლება ვუწოდოთ, რა დროსაც **ბატონები ფუქსი და კარდასოპულუსი საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, რომელთა მიზანი საინვესტიციო უფლებების ჩამორთმევით მიყენებული ზარალის კომპენსაციის მიღება იყო,** – განაგრძობს ბატონი არჩილ კბილაშვილი. – ხაზს ვუსვამ: კომპანია „საქნავთობთან“ ერთად ისინი იყვნენ ერთობლივად შექმნილი კომპანიის 50-პროცენტიანი წილის მფლობელები და **მათთვის საინვესტიციო უფლებების ჩამორთმევის შემდეგ აღარ ჰქონდათ იმ სარგებლის მიღების შესაძლებლობა, რომელსაც საწარმოს მუშაობის პირობებში მიიღებდნენ.**

საკითხის გასარკვევად, აღნიშნულ პერიოდში, საქართველოს მთავრობამ არაერთი სამთავრობო კომისია შექმნა, რომელსაც სხვადასხვა დროს რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი ხელმძღვანელობდა, წევრები კი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები იყვნენ. რამდენადაც ვიცი, ასეთი ექსი თუ შვიდი კომისია შეიქმნა, მაგრამ მთელი მუშაობა ფუჭი გამოდგა, რადგან საბოლოო, დამაჯერებელი დოკუმენტი ვერც ერთმა მათგანმა „მაგიდაზე ვერ დადო“.

მეტიც: ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ 2003 წელს, ბატონების ფუქსისა და კარდასოპულუსის ძალისხმევით, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ჩამოვიდა, როგორც საკუთარი იურიდიული ფირმის მფლობელი, რომელიც უცხოელ ინვესტორთა ინტერესებს წარმოადგენდა. ბატონი კისინჯერი საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო და **ისინი შეთანხმდნენ, რომ მოიწვევდნენ საერთაშორისო აუდიტორულ ფირმას, რომელიც დაადგენდა უცხოელ ინვესტორთათვის გადასახდელი კომპენსაციის თანხას.**

მაგრამ, მოხდა ისე, რომ როცა საერთაშორისო აუდიტორულმა ფირმამ მუშაობა დაასრულა, იმ დროისთვის საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, კომპენსაციის გადახდის თაობაზე თხოვნის მორიგი განცხადებით ბატონებმა ფუქსმა და კარდასოპულუსმა უკვე „ვარდების მთავრობას“ მიმართეს, მით უმეტეს, რომ დამოუკიდებელი საერთაშორისო აუდიტორის დასკვნა უკვე ხელთ ჰქონდათ.

შედგა მორიგი სამთავრობო კომისია, რომელსაც, ვიდრე 2004 წელს პრემიერ-მინისტრი გახდებოდა, მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობდა. **კომისიამ საკითხი განიხილა და გამოიტანა დასკვნა, რომ საქართველოს მთავრობას ბატონების ფუქსისა და კარდასოპულუსისთვის არანაირი კომპენსაცია არ უნდა გადაეხადა, რადგან საკომპენსაციო თანხის გადახდაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო არ ყოფილა. ეს დასკვნა მოცულობით დიდი არ არის, მასში კი ის აზრია გატარებული, რომ უცხოელ ინვესტორებთან ერთობლივი საწარმოს შემქმნელი „საქნავთობი“ არა სახელმწიფო კომპანიაა (თუმცა სახელმწიფო მისი 100-პროცენტიანი წილის მფლობელია), არამედ კერძო ფირმაა.** ამდენად, საქართველოს მთავრობამ უცხოელ ინვესტორებს საბოლოო უარი უთხრა კომპენსაციის გადახდის თაობაზე, – დაასრულა ისტორიის მეორე ეტაპის პერიპეტიების მოყოლა ბატონმა ადვოკატმა.

ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად გულწრფელი იყო ედუარდ შევარდნაძე, როცა ჰენრი კისინჯერს კომპენსაციის გადახდას მისი ოდენობის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ განსაზღვრის შემდგომ დაჰპირდა, მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის, რომ საბოლოო უარი უცხოელ ინვესტორებს იმ სამთავრობო კომისიამ უთხრა, რომელსაც ზურაბ ჟვანია თავკაცობდა.

### რა ღირს დავა?

– საქართველოს მთავრობისგან კომპენსაციის გადახდაზე საბოლოო უარის მიღების შემდეგ უცხოელმა ინვესტორებმა, წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად **საინვესტიციო დავათა საერთაშორისო ცენტრს მიმართეს,** – იწყებს ამბის მესამე ეტაპის შესახებ საუბარს ბატონი არჩილ კბილაშვილი. – უნდა გითხრათ, რომ ეს საარბიტრაჟო ინსტიტუტი მსოფლიო ბანკთანაა შექმნილი და, დებულებით, რომლის სავალდებულო ძალას, სხვათა შორის, მისი წევრი ყველა სახელმწიფო, მათ შორის საქართველო (იგი ამ დოკუმენტს 1992 წელს მიუერთდა) აღიარებს, **მხოლოდ და მხოლოდ უცხოელ ინვესტორებსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის წამოჭრილ დავებს განიხილავს.**

2005 წელს ბატონებმა ფუქსმა და კარდასოპულუსმა საინვესტიციო დავათა საერთაშორისო ცენტრში შესაბამისი განცხადება შეიტანეს და მთელი ხუთი წლის განმავლობაში – ვიდრე 2010 წლამდე, იქ ამ დავის განხილვა მიმდინარეობდა. უნდა გითხრათ, რომ ესაა ძალიან რთული პროცედურა, საქმის გარჩევისას ორივე მხარეს საერთაშორისო იურიდიული ფირმები წარმოადგენდნენ.

საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო პროცესი 2010 წლის 3 მარტს დასრულდა, როცა ტრიბუნალმა მეტად ვრცელი, 240-გვერდიანი დასკვნა გამოაქვეყნა. მასში, კერძოდ, აღიარებულია, რომ **საქართველოს მთავრობამ შელახა უცხოელ ინვესტორთა რონი ფუქსისა და იოანის კარდასოპულუსის უფლებები, როცა 1995 წელს ნავთობის კონცესია გააუქმა, რის შედეგად მათ, ზარალის ასანაზღაურებლად, თითოეულს 15-15 მილიონი დოლარი მიეკუთვნა. ამასთან, დადგენილ იქნა, რომ 1995-დან 2010 წლამდე დროის შუალედში თითოეულ თანხას შესაბამისი პროცენტიც დაერიცხა, რამაც კიდევ დამატებით 30-30 მილიონი დოლარი შეადგინა. ერთობლიობაში, ეს თანხები რომ დაჯამდა, გამოვიდა, რომ საქართველოს მთავრობას** (ანუ სახელმწიფო ბიუჯეტს, ანუ, იგივე, ჩვენ ყველას ერთად, პატივცემულო მკითხველო – ავტ.) **უცხოელ ინვესტორთათვის მთლიანად გადასახდელი აქვს 90 მილიონი დოლარი, რა თანხასაც კიდევ დაახლოებით 8 მილიონი დოლარი დაემატა, რაც ამ ხნის მანძილზე ბატონებმა ფუქსმა და კარდასოპულუსმა იურიდიულ მომსახურებაში გასწიეს.**

– აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ **საერთაშორისო საინვესტიციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება კონფიდენციალური იყო და რომ არა მისი გახმაურება საქართველოს მთავრობის მიერ, ფართო საზოგადოებრიობისთვის იგი სადღეისოდაც უცნობი იქნებოდა, რადგან მის გამოქვეყნებას არავინ აპირებდა,** – ასე დაასრულა ამ ამბის მესამე ეტაპის თაობაზე საუბარი ბატონმა არჩილ კბილაშვილმა.

ჩვენი მხრივ კი გვინდა ყურადღება მივაქციოთ სხვა, თვალის ერთი გადავლებით მეორეხარისხოვან გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის დავა ჯერჯერობით საბოლოოდ მაინც არ არის გადაწყვეტილი, რის შესახებ ლაპარაკი შემდგომ გვექნება, ერთი რამ ცხადია: ორივე მხარე დავის პროცესში საერთაშორისო იურიდიული ფირმების მომსახურებით სარგებლობდა და თუ უცხოელ ინვესტორებს მათი კვალიფიციური დახმარება 8 მილიონი დოლარი დაუჯდათ, განა საქართველოს მთავრობამ ნაკლები თანხა გაიღო? ეს თანხაც, როგორც ჩანს, „იმ“ 98 მილიონ დოლარს უნდა დავუმატოთ, თუმცა როგორც ქვემოთ ვნახავთ, საქმე არც 98 მილიონი დოლარით შემოიფარგლება.

### დოლარების „ბარტყობის“ ჟამი

– ყოველივე ამის შემდეგ, ანუ შარშანდელი მარტიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობა ცდილობდა მოსარჩელე მხარესთან მოლაპარაკებით 98 მილიონ დოლარზე ნაკლები თანხის გადახდის შეთანხმების მიღწევას, – ასე ახასიათებს ბოლო ერთი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესს ბატონი კბილაშვილი. – აქვე იმასაც ვიტყვი, რომ **ვიდრე საქართველოს მთავრობა ბატონების ფუქსისა და კარდასოპულუსის კუთვნილ 98 მილიონ დოლარს მთლიანად არ გადაიხდის, ამ თანხას დამატებით იმავე ოდენობის პროცენტები ერიცხება, რა ოდენობითაც თავდაპირველად მიკუთვნილ 15-15 მილიონ დოლარს ერიცხებოდა, ვიდრე ბოლოს 30 მილიონ დოლარად არ „იბარტყა“. აქედან გამომდინარე, ძნელი გამოსათვლელი არ არის, რომ საქართველოს მთავრობას სადღეისოდ უცხოელ ინვესტორთათვის არა 98, არამედ 104-105 მილიონი დოლარი აქვს გადასახდელი!!**

მას შემდეგ, რაც საინვესტიციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება გამოქვეყნდა, მისდამი მხარეების სხვადასხვანაირი მიდგომა გამოიკვეთა. ამჟამად თბილისის საოლქო სასამართლოში სწორედ ამ ორი პოზიციის ჭიდილი მიმდინარეობს.

საქართველოს მთავრობის პოზიცია ის გახლავთ, რომ, **როცა ქვეყანას 98 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა უცხოელ ინვესტორთა სასარგებლოდ, ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა სამინისტროს ბიუროს მაშინდელ მთავარ მრჩეველ ავთანდილ ხარაიძეს მათთან მოლაპარაკების გამართვა დაავალა გადასახდელი თანხის შესამცირებლად.** უშუალოდ მოლაპარაკებების გამართვამდე, რომლებსაც ინვესტორთა მხრიდან ყოფილი ერთობლივი საწარმოს თანამშრომელი ზეევ ფრენკელი აწარმოებდა, რომელიც ამჟამად ბატონ ფუქსთან ერთადაა დაკავებული, ბატონი ხარაიძე უკვე მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. მთავრობის ოფიციალური ვერსიით, **უცხოელმა ინვესტორებმა მინისტრის მოადგილეს, ქრთამის სახით, ჯერ 5 მილიონი დოლარი შესთავაზეს, შემდგომ ეს თანხა 7 მილიონამდე გაიზარდა. ამ ფულს ისინი იმაში იხდიდნენ, რომ ბატონ ხარაიძეს ყველა ღონე ეხმარა საიმისოდ, რათა მომავალი მორიგება ბატონებისთვის ფუქსისა და კარდასოპულუსისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი ყოფილიყო.** მოლაპარაკებათა მრავალი რაუნდის გამართვის შემდეგ მხარეებმა საბოლოოდ მიაღწიეს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ **2010 წლის 14 ოქტომბერს მორიგებას ხელს მოაწერდნენ, რისთ-**

**ვისაც უცხოელი ინვესტორები ბათუმში მიიწვიეს. მორიგების არსი ის იყო, რომ მისი „ღირებულება“ არა 98 მილიონი, არამედ 72 მილიონი დოლარი ყოფილიყო, თანაც აქედან 7 მილიონი დოლარი ქრთამის სახით უცხოელ ინვესტორებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ავთანდილ ხარაიძისთვის, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისთვისაც გადასაცემად უკან საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო. ვიმეორებ, ასეთია საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვერსია.**

შეთანხმებაზე ხელმოსაწერად შარშან ოქტომბერში საქართველოში ორიდან მხოლოდ ერთი ინვესტორი, რონი ფუქსი ჩამოვიდა, რომელიც ბათუმში დააკავეს კიდეც. მასთან ერთად, როგორც აღვნიშნე, დააკავეს ზეევ ფრენკელიც, რომელიც მოლაპარაკებებში აქტიურად იყო ჩართული. საქართველოს პროკურატურამ ბრალი ასევე იოანის კარდასოპულუსსაც წაუყენა ქრთამის მიცემაში ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობაში, მაგრამ იგი ამჟამად საბერძნეთშია.

ახლა რაც შეეხება უცხოელ ინვესტორთა პოზიციას. მას შემდეგ, რაც საინვესტიციო ტრიბუნალმა დასკვნა გამოაქვეყნა, საქართველოს რამდენიმე წარმომადგენელს მათთან დაკავშირების მცდელობა ჰქონდა, მაგრამ, **იმის გამო, რომ ისინი არ იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები, ანდა მათი შეთავაზებები არ ეფუძნებოდა სერიოზულ საყრდენს, ინვესტორები ამ წინადადებებს იგნორირებდნენ.** მაგრამ შარშან აგვისტოს დასაწყისში ფინანსთა სამინისტროს ბიუროს მთავარი მრჩევლის ავთანდილ ხარაიძისგან მიღებული წინადადება მათ სერიოზულად აღიქვეს. **აგვისტოს პირველ ნახევარში პირველი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც რევაზ თევზაძეც მონაწილეობდა.** ამ შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ ბატონი ხარაიძე ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, რამაც უცხოელ ინვესტორებს კიდევ უფრო მეტად გაუღვივა იმის რწმენა, რომ საქმე მთავრობის ნდობით აღჭურვილ პირთან აქვთ. მოლაპარაკებების დროს გაირკვა, რომ **ფინანსთა მინისტრის მოადგილეს პირობა ჰქონდა, რომ 72 მილიონი დოლარის კომპენსაციის მისაღებად აუცილებელი იყო ამ თანხის ნაწილის, კერძოდ, 5 მილიონი დოლარის საქართველოშივე უკან დაბრუნება. მოგვიანებით ამ თანხას კიდევ 2 მილიონი დოლარი დაემატა.** ამჟამად კი თბილისის საოლქო სასამართლოში მიმდინარეობს კამათი იმის თაობაზე, თუ კერძოდ ვისგან მომდინარეობს საქართველოში ამ 7 მილიონი დოლარის „დაბრუნების“ ინიციატივა.

თუ რა ფორმით უნდა „დაბრუნებულიყო“ ის 7 მილიონი დოლარი საქართველოში, ამის თაობაზე ბატონი ფუქსი ამბობს: **მე ვუთხარი, რომ აუცილებლად მჭირდებოდა ნებისმიერი სახის ოფიციალური ინვოისი, რადგან ის საბუთი იურისტებისთვის, ასევე იმ სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენელთათვის უნდა მეჩვენებინა, ვინც საარბიტრაჟო დავა დააფინანსეს. თან დავამატებ, რომ ვინაიდან თქვენ ხართ ფინანსთა მინისტრის მოადგილე და აღნიშნულ მოთხოვნას აყენებთ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, ჩვენ ამას განვიხილავთ როგორც საქართველოს მთავრობის მოთხოვნას, ამდენად სულაც არ გვაინტერესებს, თუ რომელ ანგარიშზე, ან რომელ ფონდში ჩაირიცხება ეს 7 მილიონი დოლარი, მთავარია ამის ოფიციალური დოკუმენტი გვქონდეს ხელთ.** თანხის გადარიცხვის საბოლოო ტექნიკური დეტალები კი სწორედ ბათუმში, 2010 წლის 14 ოქტომბერს შეხვედრაზე უნდა დადგენილიყო.

უნდა ითქვას, რომ 14 ოქტომბერს გასამართი შეხვედრის დღის წესრიგში გათვალისწინებული იყო ბატონ რონი ფუქსისა და პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ერთსაათიანი შეხვედრა, რომელზეც სწორედ ეს დეტალები უნდა დაეზუსტებინათ.

## ხაფანგი

ადვოკატ არჩილ კბილაშვილის თქმით, ამრიგად საქმე გვაქვს ორ განსხვავებულ პოზიციასთან.

– იკითხეთ: განა რა სჯიდა უცხოელ ინვესტორებს დათანხმებოდნენ 65 მილიონ დოლარს, როცა მოგებული 98 მილიონი დოლარი ჰქონდათ? – თავად სვამს კითხვა და თავადვე უპასუხებს იურისტი: – საქმე ის არის, რომ **საინვესტიციო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა ერთი წელიწადი, რა პროცედურაც ამჟამად მიმდინარეობს, ხოლო შემდგომ, საბოლოო გამარჯვების შემთხვევაშიც კი, მოგებული მხარისთვის ამ თანხის ამოღება საკმაოდ რთული და უსიამო პროცედურაა, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულ ხარჯსაც მოითხოვს, თან დროშია გაწელილი.**

შეთანხმების მიხედვით კი, 72 მილიონი დოლარიდან 7 უკან საქართველოში უნდა დაებრუნებინათ, დანარჩენი 65 მილიონი დოლარი კი ორ ტრანშად – პირველი შარშან წლის დამლევამდე, მეორე კი 2011 წლის პირველ ნახევარში უნდა გადაერიცხათ. ამდენად, **მძიმე პროცედურების თავიდან აცილება და თანხის თუნდაც რაღაც დანაკარგით, მაგრამ უმეტესი ნაწილის მაინც დროის გარკვეულ მონაკვეთში უპრობლემოდ მიღება, უცხოელ ინვესტორთათვის ამ გარიგებაზე დათანხმების მოტივაცია გახდა.**

ვიდრე 2010 წლის 14 ოქტომბრის ბათუმის შეხვედრა გაიმართებოდა, მანამდე გარიგების დეტალები სტამბოლში შეხვედრისას დააზუსტეს, გასარკვევი, როგორც აღვნიშნე, მხოლოდ ტექნიკური დეტალები დარჩა. ქართული მხარე გარიგებაზე ხელმოწერას ბათუმში ითხოვდა, რაზეც უცხოელი ინვესტორები თავს იკავებდნენ იმ მოტივით, რომ საქართველოში ისინი დაუცველები იქნებოდნენ. მათ უსაფრთხოებაში დასარწმუნებლად, 12 ოქტომბერს, შეხვედრამდე ორი დღით ადრე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მათ მიწვევა გაუგზავნა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

**ბატონ რონი ფუქსს**
**ბატონ იოანის კარდასოპულუსს**

**ძვირფასო ბატონებო,**

**პირველ რიგში ნება მომეცით გამოვხატო ჩემი კმაყოფილება მიმდინარე მოლაპარაკებების მიმართ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. მე დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ ვიპოვნით მისაღებ გამოსავალს. მტკიცედ მჯერა, რომ ეს შეხვედრა, რომელიც უახლოეს მომავალში გაიმართება, დიდად შეუწყობს ხელს ამ შეთანხმების დასრულებას. ასეთი შეხვედრა მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ ვიმსჯელოთ ყველა დეტალზე და უეჭველად პოზიტიური ეფექტი ექნება საკითხის მეგობრული მოგვარებისთვის. ამასთან დაკავშირებით, უკვე მიღწეულ შეთანხმების შესაბამისად, ნება მიბოძეთ ოფიციალურად მოგიწვიოთ თქვენ ბათუმში 2010 წლის 14 ოქტომბერს, რათა დავასრულოთ მორიგება და ხელი მოვაწეროთ მას.**

(12.10.10 წ).


PRIME MINISTER
OF GEORGIA

To: Mr. Rony Fuchs
Mr. Ioannis Kardassopoulos

October 12, 2010

Dear Sirs,

First of all, allow me to express my appreciation on the ongoing negotiations with the Ministry of Finance of Georgia. I am confident that through joint efforts we shall be able to find a mutually acceptable solution.

I firmly believe that the meeting in the nearest future can greatly contribute to the finalization of the agreement. Such a meeting will avail us of the opportunity to discuss all the details and will undoubtedly positively affect amicable solution of the matter.

In this regard, in line with the already achieved agreements, allow me to extend an official invitation to you to visit Batumi on October 14, 2010 in order to finalize the settlement and sign the dead.

Sincerely.

Nika Gilauri

გარდა ამ მიწვევისა, რამაც რონი ფუქსს საქართველოში ჩამოსვლა გადააწყვეტინა, თუმცა კი იოანის კარდასოპულუსი მას მაინც არ ენდო (!ძ, უცხოელ ინვესტორებს ასევე არწმუნებდნენ, რომ საქართველოში ჩამოსვლა იმიტომაც იყო საჭირო, რომ ამხელა თანხის გადახდის ვალდებულება საქართველოს მთავრობას და პრემიერ-მინისტრს მოსახლეობისთვის მაქსიმალურად მისაღები პიარტექნოლოგიით უნდა მიეწოდებინათ. კერძოდ კი, ლაპარაკი იქნებოდა იმაზე, რომ 72 მილიონი დოლარიდან 50 მილიონი დოლარი ისევ ბათუმის ინფრასტრუქტურაში იქნებოდა ინვესტირებული აქედან გამომდინარე ყველა დადებითი შედეგით.

**ოთარ ტურაბელიძე**

*P. S. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე, პატივცემულო მკითხველო იმაზე მეტი, რაც ითქვა? დასკვნა, როგორც ჩანს, ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე უნდა გამოვიტანოთ. ერთი კი ნაღდია: მომხდარის გამო ისრაელის საზოგადოება ერთიანად აღშფოთებულია და, ბატონ არჩილ კბილაშვილის თქმით, საერთო განწყობა ისეთია, რომ საქართველოში არა მარტო ისრაელიდან, არამედ მრავალი სხვა ქვეყნიდანაც ინვესტიციების მოცულობის გაზრდას კი არა, პირიქით, შემცირებას უნდა ველოდოთ. ამ ამბით შეწუხებული არიან ასევე ისრაელის მთავრობაშიც, რაც საქართველოში ისრაელის ელჩის იცხაკ გერბერგის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძისთვის მომხდართან დაკავშირებით საპროტესტო ნოტის გადაცემით გამოიხატა. ამის შესახებაც გუშინ წერდა ჩვენი გაზეთი.*

*ო. ტ.*

◎ თემის გაგრძელება

*ისრაელის მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა ქართველ კოლეგა გრიგოლ ვაშაძეს წერილი მისწერა და ქართულ მხარეს ბათუმში დაკავებული ებრაელი ბიზნესმენების რონი ფუქსის და ზეევ ფრენკელის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოსთხოვა. ებრაელი დიპლომატი ქართველ კოლეგას აფრთხილებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მომხდარი საქართველოსა და ისრაელს შორის არსებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ურთიერთობებზე უარყოფით გავლენას მოახდენს. რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ისრაელის სახელმწიფოს მკაცრ ტონს? – ამის შესახებ „მედიანიუსი“ ექსპერტ ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა.*



# ისრაელმა საქართველოს ხელისუფლებას ყვითელი ბარათი უჩვენა

**– მიხეილ სააკაშვილის შემდეგ, რომელსაც მსგავსი მოთხოვნით ისრაელის პრეზიდენტმა უკვე დაურეკა, ებრაული მხრიდან გზავნილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროშიც მიიღეს... როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ისრაელის ასეთი მკაცრი ტონი?**

– დემოკრატიული სახელმწიფოები, როგორც წესი, მსგავსი წერილების დაწერისგან თავს იკავებენ, ხოლმე, ასევე თავს იკავებენ სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევისგან, მაგრამ ალბათ საკითხი იმდენად ნათელია, რომ ამ შემთხვევაში ისრაელის ხელისუფლებამ საკუთარ თავს ნება მისცა, რომ მსგავსი გზავნილით მოემართათ. მეორე მხრივ, მე მინდა ტაში დავუკრა ისრაელის ხელისუფლებას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასე თავგამოდებით იცავს თავის მოქალაქეებს, ეს ერთი და მეორეც, ეს არის სერიოზული გაკვეთილი ჩვენი ხელისუფლებისთვის. ჩვენს ქვეყანაში ბიზნესმენებს ხშირად ატერორებენ და რიგ შემთხვევებში, ხელოვნურად ახდენენ ბიზნესმენების პროვოცირებას, რადგან შემდგომში მათთან საპროცესო შეთანხმების გზით ფული ამოიღონ, ამ კუთხით შეგვიძლია ამას ისრაელის მხრიდან საქართველოსთვის ყურის აწევა დავარქვათ. აქ არის სერიოზული მუქარა, რომ ებრაული ინვესტიციები აღარ განხორციელდება საქართველოში, რაც ქვეყანას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. მინდა აღვნიშნო, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება ისრაელის თხოვნას გაითვალისწინებს, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ინვესტორებს ცოტა ფრთხილად მოეკიდება და ისე აღარ „გაწეწავს“, როგორც ამას ქართველ ბიზნესმენებს უკეთებს ხოლმე.

**– თქვენი აზრით, იქონიებს თუ არა ლიბერმანის წერილი გავლენას ქართული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე?**

– ჩვენ რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობდეთ, მაშინ მე ვიქნებოდი კრიტიკული ისრაელის პოზიციის მიმართ – ვინაიდან, დემოკრატიულ სახელმწიფოში სასამართლო დამოუკიდებელია და მის გადაწყვეტილებაზე გავლენას წერილი ვერ უნდა ახდენდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ასე არ არის, რადგან ვიცით, რომ სასამართლო სრულად არის ხელისუფლების წნეხის ქვეშ და რომ ჩვენს სასამართლოებში მსგავს საქმეებზე გადაწყვეტილებები ზემოთ მიიღება. ამიტომ ისრაელის მხარის წერილი მომზადდა არა იმიტომ, რომ სასამართლო ხელისუფლებაზე მოხდეს ზეწოლა, არამედ იმისთვის, რომ მათ საქართველოს ხელისუფლებას ყვითელი ბარათი უჩვენეს. დანარჩენს უკვე მოვლენების განვითარებიდან დავინახავთ – თუ ჩვენი ხელისუფლება უკან დაიხევს, ლოიალურად მოეპყრობა დაკავებულ ებრაელ ბიზნესმენებს, ჩემი აზრით, ესეც კიდევ ერთხელ იქნება იმის მანიშნებელი, რომ ეს რეჟიმი ბიზნესმენებთან მიმართებაშიც პოლიტიზებულია და გადაწყვეტილებებს პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე იღებს.

**– არსებობს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ისრაელი და საქართველო, გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებებისა, სამხედრო სფეროებშიც თანამშრომლობენ... ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაფუჭების შემთხვევაში, რას დაკარგავს საქართველო უსაფრთხოების კუთხით?**

– რა სახის თანამშრომლობა აქვთ ისრაელსა და საქართველოს სამხედრო სფეროში, ჩემთვის უცნობია, თუმცა არაერთ პუბლიკაციაში, მათ შორის „ვიკილიქსში“ ჩნდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება შუამავალი კომპანიების მეშვეობით ისრაელისგან, ან ისრაელის კერძო კომპანიებისგან იარაღს ყიდულობდა, თუმცა ამჯერად ამაზე ლაპარაკი რთულია.



**– როგორ შეაფასებდით ისრაელის დამოკიდებულებას თავისი მოქალაქეების მიმართ? ლიბერმანის წერილამდე რამდენიმე თვით ადრე, დაკავებული ბიზნესმენების გათავისუფლების მოთხოვნით მიხეილ სააკაშვილს ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმაც დაურეკა...**

– ისრაელი სპეციფიკური ქვეყანაა. მას აქვს განსაკუთრებული პოლიტიკა თავისი მოქალაქეების და სახელმწიფო ინტერესების მიმართ. სხვა ქვეყანაში მისი მოქალაქეებისადმი დამოკიდებულება აყვანილია სახელმწიფო დონეზე, სწორედ ამიტომ არის, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ისრაელის მოქალაქეს ეპყრობიან არა როგორც რიგით ადამიანს და მოქალაქეს, არამედ ითვალისწინებენ იმას, რომ მის უკან დგას სახელმწიფო. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი დამოკიდებულება სამაგალითო უნდა იყოს არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ სხვა ბევრი ქვეყნისთვისაც.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**საქართველოს დელეგაციამ უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგული კომიტეტის ეგიდით მიმდინარე დახურულ მოსმენებში 2008 წლის აგვისტოს ომისა და მისი შედეგების საკითხებთან დაკავშირებით. მეთვალყურეები ვარაუდობენ, რომ რუსეთ-საქართველოს დოსიეს დახურვის პერსპექტივები მცირეა. უფრო სწორად, ეს თემა გადავა რუსეთ-ევროპის დისპუტის პერიფერიაზე, მაგრამ დარჩება საკითხად, რომელსაც ევროპა ხელსაყრელ მომენტში ყოველთვის შეძლებს „ამოიღოს მტვრიანი სკივრიდან“ დამატებითი არგუმენტის სახით რუსეთთან დისკუსიის დროს.**

# თბილისმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა უგულებელყო



ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგული კომისია პარიზში აწყობს დიდ საპარლამენტო მოსმენას დოსიეს მიხედვით „რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები“. მოსმენა მიმდინარეობს ტრადიციულად „დახურულ კარს მიღმა“, მიუხედავად საქართველოს დელეგაციის უარისა, მიიღოს მონაწილეობა ამ ღონისძიებაში. ოფიციალურმა თბილისმა თავისი გადაწყვეტილება ახსნა იმით, რომ მოსკოვმა ისედაც არ შეასრულა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული სამი რეზოლუცია რუსეთ-საქართველოს ომის საკითხთან დაკავშირებით და, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის სიტყვებით, იგი „კიდევ უფრო ამძაფრებს სიტუაციას“.

ამ დროს, როგორც რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში კონსტანტინ კოსაჩევმა ინტერფაქსს განუცხადა, განხილვის თემა ჩამოყალიბებულია „ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული ხუთი რეზოლუციის სულისკვეთებითა და საფუძველზე 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთში“. მოსმენების დროს უნდა გან-საჩოვი შემდეგს ასახელებს: ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის მოხსენების შემდეგ „საქართველოს დელეგაციას მნიშვნელოვნად შეუმცირდა შესაძლებლობა მანევრებისთვის და დემაგოგიური ხაზის გაგრძელებისთვის, რაც მას ეკავა აგვისტოს მოვლენების შემდეგ და ევროკავშირის მოხსენებასთან დაკავშირებით არსებითად შეცვლილი რეალიების გამო და უკვე აღარ შეუძლია გააგრძელოს ეს ხაზი“.

შეგახსენებთ, რომ სტრასბურგში შარშანდელი საგაზაფხულო სესიაზე აგვისტოს ომის შედეგების განხილვის ფარგლებში გამოვიდა ევროკავშირის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ხელმძღვანელი, სამხრეთ ოსეთში ვითარებათა გამოკვლევის კომისიის ხელმძღვანელი ჰაიდი ტალიავინი, რომელმაც განაცხადა, რომ ომი სამხრეთ ოსეთში წამოიწყო საქართველოს ხელისუფლებამ და მოუწოდა მხარეებს, დაძლიონ მისი შედეგები მოლაპარაკების მაგიდასთან.

როგორც ცნობილია, კონფლიქტის თემა სამხრეთ კავკასიაში არ ჩამოდის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დღის წესრიგიდან 2008 წლის შემდეგ. ასამბლეამ მიიღო რეზოლუციები ამასთან დაკავშირებით, რომლებშიც გასაზღვრულიყო, თუ ასამბლეაში როგორ უნდა ემუშავა სამომავლოდ რუსეთ-საქართველოს დოსიეს, მაგრამ საქართველოს პარლამენტარებმა უკანასკნელ მომენტში მოულოდნელად გამოაცხადეს უკმაყოფილება იმით, რომ მოსმენის ინიციატორი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგული კომისიის ხელმძღვანელი დიკ მარტი 2010 წლის დეკემბერში შეხვდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პარლამენტების სპიკერებს, გვაცნობა კერძოდ კოსაჩოვმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს დელეგაციის ასეთმა გადაწყვეტილებამ „მრგვალი მაგიდის“ ყველა მონაწილის გაოცება გამოიწვია.

საქართველოს პარლამენტარების უარის რეალურ მიზეზად პრობლემის განხილვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით კონუხრელად მოითხოვდა მოსკოვისგან უკან გამოიწვიოს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარება. რუსეთის ფედერაციის დელეგაციამ განაცხადა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებანი არ შეიძლება შესრულდეს, რაც საქართველოსთვის გახდა საბაბი, დააყენოს სტრასბურგში საკითხი მოსკოვისთვის უფლებამოსილებათა ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ ამ წინადადებამ მხარდაჭერ ვერ იპოვა.

ცხადია, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთისთვის მიუღებელი რეზოლუციების შედეგად ჩიხურ სიტუაციაში აღმოჩნდა, საიდანაც საუკეთესო გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო პრობლემის ყოველმხრივი განხილვა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის თემის საკითხთან დაბრუნება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ცალკე მოხსენების ფარგლებში. ამის შემდეგ უკვე შეიძლებოდა პრობლემის გადატანა საქვეყნო მონიტორინგის თანრიგში. მაგრამ თბილისის წარმომადგენლები აქტიურად გამოდიან რუსეთ-საქართველოს დოსიეს დახურვის წინააღმდეგ. სხვათა შორის, მონიტორინგის კომისია უკვე ცდილობდა დოსიეს დახურვას ივნისის სესიაზე. მაშინ ამისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ხმა.

რუსეთის მეთვალყურეების აზრით, ევროპაში კარგად იცოდნენ, რომ რუსეთი უარს არ იტყოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას შეეძლო „დაესაჯა“ რუსეთის ფედერაცია, ჩამოერთვა მისთვის ხმის უფლება ასამბლეაში. მაგრამ მოსკოვის იზოლაცია და ურთიერთობის გამწვავება კრემლთან ევროპის ინტერესებში არ შედის. ამჟამად რუსეთ-საქართველოს დოსიეს დახურვა იქნებოდა ირიბი დამარცხება იმ დეპუტატებისთვის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში, რომლებიც აღიარებენ რუსეთს ოკუპანტად ჩრდილოეთ კავკასიაში. როგორც ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ალექსეი მაკარკინმა აღნიშნა, „ეს ისტორია კიდევ საკმაოდ დიდხანს გაგრძელდება“.

„ეს თემა არსად წასულა, რუსეთსაც და ევროპასაც შეხედულებები აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საკითხთან დაკავშირებით როგორც იყო ადრე სხვადასხვაგვარი, ასეთებად დარჩნენ. არ ჩანს, როგორ შეიძლება მათი შეთანხმება: არც ევროპას შეუძლია დაეთანხმოს 2008 წლის სამხედრო მოქმედებათა შედეგებს, არც რუსეთი იტყვის უარს პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარების შესახებ“. „ამრიგად, – განაგრძობს ექსპერტი, – განხილვა გაჭიანურდება გაურკვეველი დროით დიდხანს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მოედანზე: საქართველოს მხარე მუდმივად დააყენებს ოკუპაციის თემას, რუსეთი კი წამოაყენებს თავის არგუმენტებს, შეახსენებს იმის შესახებ, რომ 2008 წლის აგვისტოში პირველი დარტყმა ქართულმა მხარემ მიაყენა“.

ამ დროს, აღნიშნა მაკარკინმა, „მნიშვნელოვანია, რომ ეს თემა არ არის მთავარი და განმსაზღვრელი რუსეთსა და ევროსაბჭოს ურთიერთობებში“. „იგი გადატანილი იქნება პერიფერიაზე, მაგრამ არც ერთი მხარე არ დააყენებს ამ საკითხს სათავეში. სხვა საქმეა, რომ ევროპელები, თუ წარმოიქმნება რაიმე დიდი პრობლემები ურთიერთობებში, ყოველთვის შეძლებენ დააყენონ „საქართველოს საკითხი“. თუმცა ამჟამად მე ვერ ვხედავ სერიოზულ პრობლემებს რუსეთსა და ევროსაბჭოს შორის ურთიერთობათა პერსპექტივებში“, – დაასკვნის ექსპერტი.

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე

**სკანდინავიის ქვეყნების ლიდერები ლონდონში განიხილავენ „მინი-ნატოს“ შექმნას, რათა „თვალყური ადევნონ რუსებს“**



ეს იდეა არის პასუხი რუსეთის მცდელობაზე არქტიკული შელფის ათვისებასთან და იქ არსებულ ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით. „ვიკილიკსის“ პუბლიკაციების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების ექს-ელჩი ნორვეგიაში ასეთი ორგანიზაციის პროექტს მიიჩნევს სასარგებლოდ იმისთვის, რომ „თვალყური ადევნონ პოლარულ დათვებსა და რუსებს“.

* * *

**თავში დაჭრილმა კონგრესმენმა გიფორდსმა გადაიტანა თვალის უპის ოპერაცია**



ოპერაცია აუცილებელი იყო, ვინაიდან სროლის დროს გაფანტული ნამსხვრევები საფრთხეს უქმნიდა გიფორდსის თვალს. მაგრამ ექიმებმა ვერ გაბედეს უმალვე ოპერაციის გაკეთება, ვინაიდან კონგრესმენი კრიტიკულ მდგომარეობაში იყო. ამჟამინდელი ოპერაცია დაჭრილისთვის უკანასკნელი როდია, აღნიშნავენ ექიმები.

* * *

**ჩინეთში დაპატიმრებული გემის რუს მეზღვაურებს პროდუქტები გაუთავდათ**



ხომალდზე, ეკიპაჟის ცნობით, არ ყოფნით წყალი და სურსათი, გემის მფლობელი დაპირდა ეკიპაჟის წევრებს, რომ უზრუნველყოფს პროდუქტებით, მაგრამ თბომავალზე მოიტანეს მხოლოდ სასმელი წყალი. ეკიპაჟის 17 წევრმა, მათ შორის ორმა ქალმა, დახმარებისთვის პროფკავშირებს მიმართეს.

* * *

**ბრაზილიაში იზრდება ზვავების შედეგად დაღუპულთა რიცხვი: მან უკვე 670 კაცს გადააჭარბა**



ორშაბათ საღამოსთვის უსახლკაროდ დარჩა 15 ათასი კაცი. მთიანი რაიონების 200-ზე მეტი მცხოვრები სტიქიის დარტყმიდან ხუთი დღის შემდეგ კვლავ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით, ეს ყველაზე მძიმე ბუნებრივ-კლიმატური კატასტროფაა სამხრეთ ამერიკის უდიდესი ქვეყნის ისტორიაში.

* * *

**ტუნისის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი გადააყენეს ოქროს გატანის სკანდალთან დაკავშირებით**

ადრე საფრანგეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სამთავრობო წყაროებზე მითითებით, ავრცელებდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ყოფილი პრეზიდენტის მეუღლემ ბენ ალი-ლეილა ტრებელსიმ ქვეყნიდან გაიტანა ტონანახევარი ოქრო 45 მილიონი ევროს ღირებულებით. ცენტრალური ბანკი უარყოფს: „უკანასკნელ დღეებში ფულის გატანა არ მომხდარა“.

* * *

**სუდანში დააპატიმრეს ისლამისტური ოპოზიციის ლიდერი აჯანყების მოწოდებისთვის**



ერთი დღე-ღამის წინათ მისმა სახალხო კონგრესის პარტიამ მოუწოდა მასობრივი გამოსვლისკენ მთავრობის წინააღმდეგ, თუ ოფიციალური ხართუმი არ გააუქმებს სახალხო მოხმარების ზოგიერთ საგანზე გაზრდილ ფასებს, რაც უკვე გახდა კიდეც ქვეყანაში სტუდენტების მღელვარების მიზეზი.

* * *

**რუსეთელებს უკვე შეუძლიათ გაემგზავრონ ჩილეში უვიზოდ**

18 იანვარს ძალაში შედის შეთანხმება რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და ჩილეს რესპუბლიკის მთავრობას შორის სავიზო ფორმალობაზე უარის თქმის პირობებთან დაკავშირებით. მოქმედი პასპორტების მფლობელებს შეუძლიათ გაემგზავრონ და იმოგზაურონ ტრანზიტით მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უვიზოდ 90 დღის განმავლობაში.

* * *

**აშშ-ში ფართოდ აღნიშნეს მარტინ ლუთერ კინგის ხსოვნის დღე**



სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ კინგის დაღუპვიდან 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მისი მემკვიდრეობა თანდათან დავიწყებას ეძლევა. „ბევრმა ამერიკელმა ჯერ კიდევ სკოლის დროიდან იცის შავკანიანთა უფლებებისთვის მებრძოლის მიერ ნათქვამი ლეგენდარული ფრაზა: „მაქვს ერთი ოცნება...“ მაგრამ ცოტას თუ შეუძლია გააგრძელოს ეს ციტატა“.

წარდგინება

# არა არის მშვიდობა სამართლის გარეშე...

**ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ოფისში არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ წიგნის „ომი, სამართალი, მშვიდობა“ წარდგენა გაიმართა.**

**წიგნში მოთხრობილია 2008 წლის აგვისტოს ომით დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობის ისტორიები და ომის დროს ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებები.**

„საშინელებაა, როცა გახსენდება ომით დაზარალებულთა ცრემლიანი ისტორიები. ყველა ჩვენგანს ეს ისტორიები ცრემლით შეგვქონდა წიგნში. ამ ყველაფრის გაცნობის შედეგად, მივედით ერთ დასკვნამდე – საქართველო დამნაშავეა ამ ადამიანთა მიმართ. ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველი გაუბედურებული ადამიანის წინაშე დამნაშავეა ორი სახელმწიფო – საქართველო და რუსეთი, და გვაძლებინებს უხილავი ძაფები – ნდობა...“ – განაცხადა წიგნის რედაქტორმა და პროგრამის კოორდინატორმა **ნინო ციხისთავმა**.




წიგნის ერთ-ერთი შემდგენელის, იურისტ **ლია მუხაშავრიას** თქმით, ამ წიგნში შესულია ყველა ის სარჩელი, რომლითაც ადგილობრივ და საერთაშორისო სასამართლოებს დაზარალებულმა მშვიდობიანმა მოსახლეობამ მიმართა. ეს არის უმთავრესად დოკუმენტების კრებული, რომელშიც ასახულია დაზარალებული მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ისტორიები, საქართველოს კანონმდებლობის სამართლებრივი ანალიზი. **„აქ შესულია მოწმეების, დაზარალებულების, ასევე პოლიტიკოსების ჩვენებები, რომლებიც მათ პარლამენტის საგამოძიებო კომისიას მისცეს. ასევე, შესულია ის საჩივრები და საქმეები, რომლებითაც „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტმა“ მიმართა როგორც საქართველოს სასამართლოებს, ისე სტრასბურგის სასამართლოსაც...“**

**ლია მუხაშავრიას განცხადებით, თუ მომავალში გამოჩნდებიან დონორები, შესაძლებელი იქნება ამ წიგნის რუსულ, ინგლისურ, სხვა ენებზე თარგმნაც.**

**ერთ-ერთი დონორის, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დირექტორის ქეთევან ხუციშვილის განცხადებით, „ადამიანის უფლებების პრიორიტეტმა“ საკმაოდ სერიოზული სამუშაო გასწია. „აქ წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტები და მასალები ადამიანის უფლებების დაცვაზე როგორც ომის დღეებში, ასევე ომის შემდეგ“, – განაცხადა ქეთევან ხუციშვილმა.**

**გამოცემის რედაქტორის ნინო ციხისთავის განცხადებით კი, მთავარი საკითხი წიგნში არის მოსახლეობის ევაკუაცია. „წიგნში შესულია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების ის ციტატები, რომლებიც მათ თქვეს საპარლამენტო კომისიის დაკითხვის დროს. ეს ციტატები ეხება ევაკუაციის თემას, რომელსაც ფაქტობრივად არავინ შეხებია და არც არავისი პასუხისგების საკითხი არ დამდგარა“, – განაცხადა ნინო ციხისთავმა.**

წიგნს ლაიტმოტივად გასდევს „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ დევიზი – **არა არის მშვიდობა სამართლის გარეშე**. ორგანიზაციის ძალისხმევა – დამნაშავე პირებს კანონის ძალით მოეთხოვოთ პასუხი აგვისტოს ომით მიყენებული ზიანისა და აუნაზღაურებელი ტკივილისათვის, უნდა გახდეს სამართლიანობის აღდგენის საწინდარი, ურომლისოდაც მშვიდობა წარმოუდგენელია. მხოლოდ სამართლიანობის სახელით და მართლმსაჯულების განხორციელებით შეიძლება ფიქრი მშვიდობის შენებასა და მის შენარჩუნებაზე.

წიგნის ავტორთა განცხადებით, იმის მიუხედავად, რომ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოს რამდენიმე ომისა თუ შეიარაღებული კონფლიქტის გადატანა მოუხდა, ომის დანაშაულისთვის არავინ დასჯილა. ავტორთა აზრით, ომის უმძიმეს დანაშაულთან დაკავშირებით უნდა გამოირიცხოს პასუხისმგებლობისგან თავის არიდების ნებისმიერი შესაძლებლობა, და გამოდიან ინიციატივით, დამკვიდრდეს ტერმინი „აუცდენელი პასუხისმგებლობა,“ რათა ხელაღებით აღარავინ სცადოს იარაღის გამოყენება.

სიტყვით გამოვიდნენ: მარიამ მაისურაძე, ნინო ბოლქვაძე, ხათუნა ავლოხაშვილი და სხვები.

„ომი, სამართალი, მშვიდობა“ გამოიცა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“, ღია საზოგადოების ინსტიტუტის (ბუდაპეშტი), აშშ-ს საელჩოს მცირე გრანტების პროგრამისა და ნორვეგიის სამეფოს საელჩოს გრანტების პროგრამის მხარდაჭერით (ევრაზიის პარტნიორობის ფონდი).

**თამარ შაიშმელაშვილი**

### არბიტრაჟის უწყება (შეტყობინება)

### საქმე №99-2010

**თქვენ, შპს „ჯი-სი ჯგუფს“, თბილისი, ხოშარაულის ქ. №29 გიბარებთ მოპასუხის სახით საარბიტრაჟო სხდომაზე 2011 წლის 28 იანვარს, 13.00 საათზე, საქმეზე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელის გამო შპს „ტრაიკვესტ ინტერნეშენელ გრუპის“ და სხვათა მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ, მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №50, მე-2 სართული.**

**გამოუცხადებლობის შედეგები**

**„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**

**საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.**

ჟურნალის ახალი ნომერი

*„ფაზისის“ საერო აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორიენტირი უცვლელია – წარსულისა და თანამედროვეობის თანაარსებობით გზის გაკვლევა უკეთესი მერმისისკენ... ჯერაც ამოუხსნელია კოლხური ოქროს ვერძის საიდუმლოება, განგების ნებაა, როდის გაცხადდება იგი ლაზარედ წოდებული ქართული ენის მსგავსად. მითი არგონავტებზე კოლხეთის, საქართველოს ძლიერების აპოთეოზია და ძვ. წ. აღრიცხვის XIV-XV საუკუნეებში დამპყრობლების დაინტერესებაზე მიანიშნებს. და ყოველივე უნდა განვიხილოთ ჩვენი ერთიანი წარსულის, ერთი წარმომავლობის ჭრილში...*

*ამ და ბევრ სხვა საინტერესო კითხვაზეა პასუხი გაცემული ჟურნალ „ცოტნეიდელის“ მე-4 ტომში, რომელიც ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, „ფაზისის“ საერო აკადემიის საპატიო პრეზიდენტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II აღმაშენებლის ინიციატივით გამართულ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის დაარსების 1700 და განახლების 1000 წლისთავს.*

*სამეცნიერო ჟურნალ-კრებულში თავმოყრილია „ფაზისის“ საერო აკადემიის თბილისისა და ფოთის სათავო და რეგიონული ორგანიზაციების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მასალები ქართული ცივილიზაციის – კოლხეთის ისტორიის კვლევის შედეგებზე.*




# წარსულის ანარეკლი მომავლისა და სულიერი ერთობის სამსახურში

## გამოვიდა „ფაზისის“ საერო აკადემიის ჟურნალ „ცოტნეიდელის“ მორიგი ნომერი

ჟურნალში გამოქვეყნებულია ცნობილი პიროვნებების გამონათქვამები პატრიოტიზმზე, რწმენასა და ურწმუნოებაზე, ვრცლად არის მოთხრობილი სვეტიცხოვლის ისტორიაზე, დღევანდელობაზე, მის სიწმინდეებზე. საინტერესოდ იკითხება „ფაზისის“ საერო აკადემიის წევრის მიხეილ ლაბაძის სამეცნიერო ნაშრომი „გენუელთა დასახლებები საქართველოს ზღვისპირეთში“ და ელდარ გუგუშვილის სტატია „საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები საქართველოდან ირანის მბრძანებელს არასოდეს არ გაუტანია, მათ შორის, არც მაცხოვრის კვართი“. „ცოტნეიდელში“ მოთხრობილია საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაარსებული წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოღვაწეობაზე, ცალკეული ფაკულტეტების საქმიანობაზე. ვრცელი სტატიები ეძღვნება ცნობილი ფილოლოგების – მამა-შვილ მამანტი და ცირა ძაძამიების, მეცნიერებათა დოქტორ ვლადიმერ ვახანიას შვიტომეულის – „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ – განხილვას, მათ შორისაა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ოთარ მიქიაშვილის და „ფაზისის“ საერო აკადემიის პრეზიდიუმის წევრის, გურიის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის, პროფესორ გიზო ჭელიძის სარეცენზიო წერილები „გამორჩეული ნიშანსვეტი ქართველური ენების შესწავლის გზაზე“.

ჟურნალში იბეჭდება ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნის“ კაკა ქვანიასეული მეგრული თარგმანიდან, აგრეთვე მეგრული ფოლკლორის მარგალიტები, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომელთაგან ბევრს პირველად გაეცნობა მკითხველი.

ჟურნალში ვრცლადაა გაშუქებული დიდი მგოსნის და მამულიშვილის აკაკი წერეთლის საიუბილეო მასალები, ამაღელვებელია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა, აქვეა ცნობილი მწერლებისა და პოეტების გამონათქვამები იმ კაცისადმი, რომელიც იყო „შუამავალი ცასა და მიწას შორის“. თანადროულობას ეხმიანება აკაკის პუბლიცისტური წერილი **„ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინე“**. ეს არის სამეგრელოს ისტორიული მისიის სამართლიანი აღიარება. **„თუ არა მზაკვარება და უგულობა, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყონ და მეგრულიც ძირითადი ქართული“... „როდის აგვიღია ხელი იმ დედაენაზე, რომლითაც ღმერთს ვადიდებდით მრავალ საუკუნოების განმავლობაში და სამშობლოს ვემსახურებოდითო,“.. ამბობენო მეგრელებიო.**

სრულიად ახლებურ – ქრისტიანულ ჭრილშია განხილული პოლემიკის კულტურა მარიამ გაგუას სტატიაში „სამეგრელო, ე. ი. ქართული სულისა და სრულიად საქართველოს ტკივილი უგუნური მოკეთის ღალატის თუ გონიერი მტრის მიზეზით“.

ახალი ისტორიული მასალები იბეჭდება „ფაზისის“ საერო აკადემიის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის, აკადემიკოს ანზორ შონიას მეცნიერულ ნაშრომში „ქართველი და სომეხი სხვადასხვა ეთნოსია“.

ჟურნალში არის კრიტიკული წერილები – „ქართვლის დედა დედაა და კოლხი დედა დედინაცვალი?!“, რომელიც ეხება ქალაქ ფოთის ცენტრალურ მოედანზე განთავსებულ ელგუჯა ამაშუკელის კოლხი დედის ბრწყინვალე მონუმენტის გადატანას. აქვე გამოქვეყნებულია ფოტობრალდება ლევან II დადიანის ისტორიული საფლავის სავალალო მდგომარეობის გამო. 15 წელია არ სრულდება წმინდა სინოდის გადაწყვეტილება და მორწმუნე მრევლისთვის საჯაროდ მიცემული დაპირება ფოთში ცოტნე აღმსარებლის ტაძრის მშენებლობის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა, არსებობს პროექტი და გამოჩნდნენ ქველმოქმედები. ცოტნე დადიანის სახელობის ლიცეუმსაც გადაერქვა სახელი, ხომ არ არის ეს წმ. ცოტნე აღმსარებლისა და კოლხეთის უპატივცემულობა, ვის ეცოტავება საქართველოს ზნეობრივი გმირის ღვაწლი?

ჟურნალ „ცოტნეიდელის“ ლაიტმოტივი კვლავაც არის დიდი მამულიშვილების ღვაწლის დაფასება. ახალი, საინტერესო წერილებია თავმოყრილი ცნობილ სასულიერო პირებზე, ხელოვნების, მეცნიერების კორიფეებზე, სხვადასხვა სფეროს დამსახურებულ მუშაკებზე. ფაზისის აკადემიის იუბილარ აკადემიკოსებზე, ხალხური სიმღერების ენთუზიასტებზე, ლეგენდარულ პიროვნებებზე – გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჯანაშია, კონდრატე თათარაშვილი, ნოდარ დუმბაძე, ცოტნე მირცხულავა, გიორგი გეგეჭკორი, იოსებ ნონეშვილი, ილია ვეკუა, რომელთა ღვაწლიც მომავალ თაობებს უდგათ გზად და ხიდად.

არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული – ამ რუბრიკით იბეჭდება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა, 1991-92 წ.წ.-ში სამშობლოს ზვარაკად შეწირულთა ფოტოსურათები, ბიოგრაფიები.

ჟურნალს ამშვენებს მხატვარ გიორგი გეგეჭკორის ცნობილ ადამიანთა ბრწყინვალე პორტრეტები. აქვეა ტიმ სევერინის ექსპედიციის მასალები.

დამაფიქრებელი, ამაღელვებელი და სევდის მომგვრელია ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრის ივანე ამირხანაშვილის ჩანახატი **„სად, წარსულში თუ მომავალში?“**

სამეცნიერო ჟურნალ-კრებულის „ცოტნეიდელის“ მე-4 ტომი გამოიცა წარმატებული ბიზნესმენის გურამ წიწილაშვილის ქველმოქმედებით. იდეის ავტორი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორია ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი ნუგზარ ნადარაია. კომპიუტერულ-საგამომცემლო უზრუნველყოფა გასწია აკადემიის საგამომცემლო-პოლიგრაფიული სამსახურის ხელმძღვანელმა ალეკო დოლბაიამ. ფაზისის აკადემია მადლობას უხდის მხარდაჭერისთვის ქ. ფოთის მერს ვახტანგ ლემონჯავას, ქ. ფოთის საკრებულოს თავმჯდომარეს ვანო სალინაძეს, ხობის რაიონის გამგებელს იგორ ტყებუჩავას, ხობის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარეს მამუკა ჭოხონელიძეს, მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, პუბლიცისტებს, ვინც მონაწილეობდა ჟურნალ „ცოტნეიდელის“ შედგენა-გამოცემაში. ჟურნალს თან ახლავს მეგრული სიმღერების კომპაქტდისკი.

**ზურაბ აბრალავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

საუკუნის ჭირი

# ინგლისურის ტყვეობაში

**ამ დღეებში თბილისში იმყოფებოდა ესპანეთში მცხოვრები ინგლისელი არქიტექტორი მარკ ფენვიკი, რომელმაც ვაკის მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონის რეკონსტრუქციისთვის საჭირო, უეფას სტანდარტების შესაბამისი პროექტი უნდა მოამზადოს.**

აღნიშნული ვიზიტი უეფას ვიცე-პრეზიდენტ ჟოზეფ მიფსულისა და უეფას ნაციონალური ასოციაციების დეპარტამენტის უფროსის ტიერი ფავრის ხელშეწყობით განხორციელდა. შეგახსენებთ, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში დეკემბერში იმყოფებოდნენ და სა-



ქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დასახელებული სარბიელის განახლების საქმეში დახმარება აღუთქვეს.

**ცნობისთვის:** ბრიტანელ სპეციალისტ კინგსტონისა და მადრიდის უნივერსიტეტების შესაბამისი ფაკულტეტები აქვს დამთავრებული და არაერთი ცნობილი პროექტის ავტორია (მაგალითად, „ესპანიოლისა“ და „ვალენსიას“ სტადიონები), ხოლო ამჟამად 2022 წელს ყატარში გასამართი „მუნდიალისთვის“ ორი სტადიონის პროექტზე მუშაობს.

წესით და რიგით, ასეთი აღიარებული პროფესიონალის დაინტერესება აღტაცებას უნდა იწვევდეს იქ, სადაც საამისო ტრადიციებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ განთქმული ქართული არქიტექტურული სკოლა, დავიჯეროთ, აღარ არსებობს?! არა გვგონია, არჩილ ქურდიანის სამშობლო კვალიფიციური კადრების დეფიციტს განიცდიდეს.

**გია პლატონიშვილი**

რჩეულნი

# შეცდომის დაშვების უფლება

**მსოფლიო ფეხბურთის საერთაშორისო სტატისტიკისა და ისტორიის საიტმა 2010 წლის საუკეთესო მსაჯად ინგლისელი ჰოვარდ უები მიიჩნია, რომელმაც შარშანდელი „მუნდიალის“ ფინალში ესპანეთი – ჰოლანდია რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა.**

აღსანიშნავია, რომ რჩეულთა შორის ურუგვაელი ხორხე ლარიონდასა და იტალიელი რობერტო როზეტისთვისაც მოიძებნა ადგილები, რომლებსაც სამხრეთაფრიკულ ფორუმზე სკანდალური იალლიშებისთვის დისკვალიფიკაცია მიეცათ. შეგახსენებთ, რომ სამხრეთამერიკელმა შაოსანმა გერმანია – ინგლისის მერვედფინალში ლამპარდის მიერ გატანილი გოლი „ვერ შენიშნა“, მისმა აპენინელმა კოლეგამ კი ამავე ეტაპზე არგენტინელ ტევესს თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი ჩაუთვალა.



მთლიანობაში ტოპ-ათეული ასე გამოიყურება: **ჰოვარდ უები** (ინგლისი) – 189 ქულა, **რავშან ირმატოვი** (უზბეკეთი) – 128, **მასიმო ბუზაკა** (შვეიცარია) – 90, **ფრენკ დე ბლეკერე** (ბელგია) – 63, **ვიქტორ კაში** (უნგრეთი) – 60, **ბენიტო არჩუნდია** (მექსიკა) – 44, **ვოლფგანგ შტარკი** (გერმანია) – 40, **ჰექტორ ბალდასი** (არგენტინა) – 31, **ხორხე ლარიონდა** (ურუგვაი) – 29, **რობერტო როზეტი** (იტალია) – 25 ქულა.

განსჯა

# თუ ევროპისკენ ვიხედებით, ევროპის სპორტიც დავინახოთ!

## სპორტის რეფორმა საქართველოში (2011–2016 წ.წ.)

1. რეფორმის აუცილებლობის დასაბუთება

სახელმწიფო განსაზღვრავს სპორტის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, ქმნის სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამას, აღიარებს და იცავს ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტული ორგანიზაციების ავტონომიას და კომპეტენციას სპორტის ორგანიზაციულ და მართვის საკითხებში.

*ხელშემშლელი ფაქტორები:*

ა) თანამედროვე საკანონმდებლო ბაზის, მართვის პრინციპებისა და სპორტული ინფრასტრუქტურისა და სპორტული ინვენტარის არქონა,

ბ) სუსტი აკადემიური სასწავლო ბაზა მწვრთნელების, პედაგოგების, სპორტული მედიცინის, სპორტის კვლევა– ანალიზის სპორტსმენების მოსამზადებლად,

გ) წვრთნისა და შეჯიბრებების პროცესში უახლესი მეცნიერული ტექნოლოგიების, მიღწევების დანერგვის დაბალი დონე,

დ) მწვრთნელებისა და სპორტსმენთა სამედიცინო და სოციალური უსაფრთხოების დაბალი დონე და სხვ.

2. რეფორმის მიზანი

დღემდე არსებული სპორტის სფეროს მართვის შეცვლა ევროპული გამოცდილებით, მართვის სისტემით, არასრული საკანონმდებლო სისტემის სრულყოფა, ბიუროკრატიული მექანიზმების მინიმიზაცია. დაფინანსების გაუმჯობესება, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი მიმართვა და კონტროლის გაუმჯობესება.

ა) *სტრუქტურის სრულყოფა:* სტრუქტურული ცვლილებები, შტატების ოპტიმიზაცია, საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების სრულყოფა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოება.

ბ) *მართვის ინსტრუმენტების – კანონმდებლობის და ფინანსირების დახვეწა:*

არსებული კანონმდებლობის ცვლილება – ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა, საგრანტო პრინციპების დამკვიდრება, ეროვნული ლატარიის ეფექტური გამოყენება, ინვესტიციების მოზიდვა, ქველმოქმედების ხელშეწყობა და მისი როლის ზრდა, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და კონვენციებთან მიერთება, სპორტულ ორგანიზაციათა (სპორტის სახეობათა ეროვნული ოლიმპიური და არაოლიმპიური ფედერაცია/კავშირი, კლუბი) სამართლებრივი სტრუქტურის სრულყოფა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კონფედერაციის დაფუძნების მხარდაჭერა/ხელშეწყობა,

გ) *სპორტის სისტემის ორგანიზაციათა მართვის გაუმჯობესება:* პრიორიტეტული საერთოეროვნული მნიშვნელობის სპორტულ სახეობათა განსაზღვრა და მხარდაჭერა, სტრუქტურული ცვლილებები, ორგანიზაციათა ადმინისტრაციული, ფინანსური მართვის სრულყოფა, სპორტის სპეციალისტთა მომზადება და ტრენინგები საქართველოში და საზღვარგარეთ,

დ) *მართვის დეცენტრალიზაცია:* რეგიონების როლის ზრდა, გადასვლა ცენტრალურიდან ადგილობრივ (მუნიციპალურ) მართვაზე.

ე) *საზოგადოებრივი მონაწილეობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების გამტკიცება:*

მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3. რეფორმის შედეგები (სავარაუდო ვადები - 2011-2016 წ.წ, 2011 წ.- გარდამავალი პერიოდი)

სპორტული კანონმდებლობის დახვეწა, სპორტის სფეროს მართვის სისტემის დაფუძნება, დეცენტრალიზაცია, სპორტული კლუბებისა და სკოლების რაოდენობის გაზრდა, მასობრივ სპორტში ჩართული მოსახლეობის რიცხვის ზრდა და მათი ჯანმრთელობის განმტკიცება, დაფინანსების გაუმჯობესება, მონაწილეობის, გამჭვირვალობის, საჯაროობისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება, საქართველოს სპორტსმენთა ღირსეული გამოსვლა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის და სხვა სერთაშორისო მნიშვნელოვან ოფიციალურ ასპარეზობებში. ყოველივე აქედან გამომდინარე, სპორტული პოტენციალის გაფართოება-გაძლიერება-ინტეგრაცია ევროპის სპორტის კულტურასთან, ქვეყნის სპორტული კონკურენტუნარიანობისა და ავტორიტეტის გაზრდა მსოფლიო საზოგადოებაში.

# ფიქრები, კითხვები

შარშანდელი მარტის ღია წერილში (ბუკლეტი „საქართველოში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების კონცეფცია“, თბილისი, 2010) სეოკის აღმასკომის წევრების, სეოკის მიერ აღიარებული ოლიმპიური და არაოლიმპიური სპორტული ფედერაციების (კავშირების, ასოციაციების) ხელმძღვანელების, სპორტის სპეციალისტების და ექსპერტებისა და სპორტულ ჟურნალისტებისადმი აღვნიშნე, რომ აუცილებლად მიმაჩნია ჩვენ დარგში – სპორტში – ორგანიზაციულ-სტრუქტურული და მართვის რეფორმის განხორციელება.

მისასალმებელია და მოხარული ვარ, რომ იმ სამი ძირითადი საკითხიდან მოხდა ერთ-ერთის რეალიზება. კერძოდ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი საქვეუწყებო დეპარტამენტიდან გარდაიქმნა სამინისტროდ.

ვფიქრობ, დღის წესრიგში უნდა დადგეს დანარჩენი ორი საკითხიც:

პირველი – საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და ეროვნულმა სპორტულმა ფედერაციებმა დააფუძნონ „საქართველოს ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კონფედერაცია“. იხილე დანართი – „სეოსკ“ ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა“. ამასთან, ვსვამ კითხვას – სჭირდება თუ არა ქართულ სპორტს არასამთავრობო „ქოლგა“ ორგანიზაცია?!,

აუცილებელია, ჩვენ, ოლიმპიურმა და სპორტულმა მოძრაობამ მხედველობაში მივიღოთ მე-13 ოლიმპიური კონგრესის (ოქტომბერი, 2009 კოპენჰაგენი, დანია) და პირველი საერთაშორისო ოლიმპიურ სპორტულ სახეობათა ყრილობის (ოქტომბერი, 2010 აკაპულკო, მექსიკა) მასალები, მისი რეზოლუციები რეკომენდაციის სახით. მაგალითად, შემდეგ თემებზე: 1 – ოლიმპიური და სპორტული ორგანიზაციების წესდება, სტრუქტურა და დემოკრატიული პროცესები, 2 – ანგარიშვალდებულება, საჯაროობა, გამჭვირვალობა და კონტროლი, 3 – ჰარმონიული ურთიერთობები მთავრობასთან ავტონომიის შენარჩუნებით და სხვა

**აუცილებელია, ჩვენ, ოლიმპიურმა და სპორტულმა მოძრაობამ მხედველობაში მივიღოთ მე-13 ოლიმპიური კონგრესის (ოქტომბერი, 2009 კოპენჰაგენი, დანია) და პირველი საერთაშორისო ოლიმპიურ სპორტულ სახეობათა ყრილობის (ოქტომბერი, 2010 აკაპულკო, მექსიკა) მასალები, მისი რეზოლუციები რეკომენდაციის სახით**

ყრილობაზე, 205 სეოკის ხელმძღვანელებისა და 130 ქვეყნის სპორტზე პასუხისმგებელი მინისტრების წინაშე სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა ხაზი გაუსვა სპორტში ავტონომიის დაცვის მნიშვნელობას. ციტატა მისი გამოსვლიდან – „რას ნიშნავს სპორტის ავტონომია“? თავდაპირველად ნება მომეცით განვმარტო მისი მნიშვნელობა: ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კანონზე მაღლა ვდგავართ ან რომ არ უნდა ვრჩებოდეთ კარგი მმართველობის პრინციპების დამცველად. ეს მარტივად იმას ნიშნავს, რომ სპორტის სამყარო და სპორტული ადმინისტრაცია თავისუფალი უნდა იყოს პირდაპირი პოლიტიკური ან სამთავრობო ჩარევისგან, რომ მთავრობები არ უნდა ერეოდნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების სამართლიან არჩევნებში, ან არ უნდა ცდილობდნენ მწვრთნელების ან სპორტსმენთა ძალდატანებით შერჩევას. ჩვენ უფლება უნდა მოგვეცეს თავისუფლად ჩამოვაყალიბოთ სპორტული ორგანიზაციები, ფედერაციები და კლუბები. ასევე უფლება უნდა გვქონდეს თავისუფლად განვსაზღვროთ სპორტის წესები და შევიმუშაოთ სპორტული პრაქტიკისთვის აუცილებელი სტრუქტურები და პროცედურები“. ბოლოს დასძინა, ციტატა – „სპორტის ავტონომია ეფუძნება სპორტის უნიკალურ თვისებას. სპორტი წარმოადგენს გლობალურ ძალისხმევას, რაც სამართლიანი თამაშისა და სამართლიანი ასპარეზობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების პრინციპებზეა აგებული.“

მეორე – ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად განახლდეს ინტენსიური მუშაობა „სპორტის შესახებ“ ახალ კანონზე. იხილე დანართი – „სპორტის საკანონმდებლო მიზნები და პრინციპები“ და მოკლედ „მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი სპორტის ახალი კანონის თავებში და მუხლებში“. ვსვამ კიდევ ერთ კითხვას – სჭირდება თუ არა ქართულ სპორტს კანონმდებლობის გადასინჯვა, სპორტული ცხოვრების მართვის დეცენტრალიზაცია, სპორტის ავტონომია, გამჭვირვალე და საჯარო ურთიერთთანამშრომლობა სახელმწიფოსა და სპორტულ სამოქალაქო საზოგადოებას შორის?!

კანონმდებლობასთან დაკავშირებით, ინფორმაციისთვის იხილეთ ვერსია სამოქმედო გეგმისთვის პროექტზე „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ განათლებასა და სპორტში მასობრივად ჩაბმის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ .

ზოგადად ყველა სფეროს განვითარებისთვის მნიშვნელოვანია პრიორიტეტების განსაზღვრა. რა უნდა იყოს პრიორიტეტი სპორტული საზოგადოებისათვის?

- სპორტული კანონმდებლობის დახვეწა,
- სპორტის სფეროს მართვის თანამედროვე სისტემის დაფუძნება და სხვ.

ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, პირველ ეტაპზე, საჭიროა – შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებების და საქართველოს სპორტის კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის ცალკეული ფედერაციების წესდებების სრულყოფა....

ასევე უნდა დაისვას კითხვები:

- ზოგადად რა შეადგენს საზოგადოების უპირველეს ინტერესს სპორტში?
- რა არის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები სპორტში?.

დასასრულს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შეთანხმებას ერთ საკითხზე – ნაყოფიერი სპორტული პოლიტიკის მიღწევა შეუძლებელია სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე – ალტერნატივა არ გააჩნია. ეს მხარდაჭერა უნდა გამოიხატოს სწორი ორგანიზაციულ-სტრუქტურული და მმართველობითი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საკანონმდებლო ბაზით. აქედან გამომდინარე ქვეყანაში მაღალი სპორტული მიზნების განსახორციელებლად აუცილებელია სახელმწიფოს მიერ სპორტულ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, თანასწორობა, ავტონომია.

ვფიქრობ და მაქვს ეჭვი, რომ ჩვენ სპორტის მართვაში არსებულ მდგომარეობაზე, ამ მდგომარეობის ანალიზზე გვაქვს სიმართლის თქმის არასაკმარისი სურვილი.

გთხოვთ, გავფანტოთ ეს ეჭვი ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის მომავლის საკეთილდღეოდ, მის სასარგებლოდ.

პატივისცემით,
**თამაზ თევზაძე,**
სპორტის ექსპერტი
ტელ: 362132, 877 50 50 66, Skype - ttevzadze
ელ/ფოსტა tamaztevzadze@yahoo.com
ttevzadze@hotmail.com

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №9-10.

◉ ჩვენი კარაბადინი

# დიაგნოზი სარკეში

## რა სიგნალს იძლევიან მუწუკები სისხლძარღვებზე და ჩრდილები თვალქვეშ



**ექიმები ამტკიცებენ, რომ აბსოლუტურად ყველა დაავადება აისახება ადამიანის სახეზე. თანაც ხშირად უბედურების სიგნალები ჩნდება, როდესაც დაავადება ჩანასახშია. მაშასადამე, დროულად თუ შენიშნავ რაღაც არასასიამოვნოს, სენს შეიძლება მიაყენო წინმსწრები დარტყმა. გარეგნობაზე რა ცვლილებებს უნდა მივაქციოთ ყურადღება?**



### თვალები

**გადმოკარკლულია, აწითლებულია** — ენდოკრინული აპარატის პრობლემებია (ბაზედოვის დაავადება, ჰიპერტირეოზი).

ყვითელი სკლერები (ეს თეთრი გარსიაძ — ღვიძლის უკმარისობა.

გამონაყოფები თვალის კუთხეებში — ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ჩირქოვანი გამონაყოფები — კონიუნქტივი.

ზედა ქუთუთოს შეწითლება — კუჭის კატარი (ლორწოვანის ანთებაძ, გასტრიტი.

ჩრდილები თვალქვეშ — ინტოქსიკაციის ნიშანი, რომელიც ყველა ქრონიკულ დაავადებას ახლავს.

წითელი ძარღვები — მაღალი არტერიული წნევა (განსაკუთრებით თუ ეხამება მხედველობის არედან ამოვარდნას და „ხალებს“ თვალშიძ, ძლიერი გადაღლილობა.

ზედა ქუთუთოების შესივება — თირკმლური უკმარისობა, ადენოიდები, ჰაიმორიტი.

შესივებული, ბნელი წრეები თვალქვეშ — შარდის გამომყვანი გზების (თირკმელების ან შარდის ბუშტისძ დაავადებანი.

მუდმივი სიწითლე ლაწვებზე — მშრალი (დახშულიძ შაქრის დიაბეტი, მოელვარე (მკვეთრიძ — პრობლემები ფილტვებთან დაკავშირებით (ტუბერკულოზიძ. ჩვეულებრივად ჩნდება იმ ლოყაზე, რომელ მხარესაც არის დაზიანებული ფილტვი.

კანის ზედაპირის სიყვითლე — ჰეპატიტი, ნაღვლის კენჭოვანი დაავადება (ნაღველსადინარების ქვებით დაცობაძ.



პიგმენტური ლაქები — ღვიძლის დაავადებანი ან ენდოკრინული პათოლოგია.

კუპეროზი (სისხლძარღვოვანი ვარსკვლავები ლოყებზეძ — ნაღვლის ბუშტისა და კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებანი. ლაწვებზე წარმოქმნილი კაპილარული ბადურა მეტყველებს სისხლძარღვული დარღვევების დაწყებისა და ჰიპერტონიის პირველი ნიშნების შესახებ.

### თმები



**მტვრევადი — ნივთიერებათა ცვლის უკმარისობა, ავიტამინოზი.**

ცხიმოვანი, ძენძებად ჩამოკიდებული — ენდოკრინული, კუჭისა და ნაწლავების პრობლემების ნიშანი.

### ცხვირი



**წითელი, ხორკლიანი, ლურჯი ძარღვებით** — პერიფერიული სისხლის მიმოქცევის ქრონიკული დარღვევის ნიშანი (ალკოჰოლიზმი, ათეროსკლეროზი, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანიძ.

### აკნე (მუწუკები)



**ნიკაპზე — გინეკოლოგიური პრობლემები; შუბლზე — მსხვილი ნაწლავის დაავადებანი.**

### სახის ფერი

**კანის სიფერმკრთალე — ანემია (სისხლის ნაკლებობაძ.**

სახის შეშუპება — გულ-სისხლძარღვთა პათოლოგია, თირკმელების დაავადებანი.

### ტუჩები

**მშრალი, აქერცლილი — გასტრიტი ან კუჭის წყლული.**

მშრალი ტუჩები — კუჭ-ნაწლავის დისბაქტერიოზი, ორგანიზმში იმუნური დაცვის დაქვეითება.

კუთხეებში „ჩახვევები“ — პრობლემები კუჭ-ნაწლავთა ტრაქტში. ძნელად შესახორცებელი — დიაბეტის ირიბი ნიშანი.



ტუჩების სიყვითლე — კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობის დაქვეითება, გულთან დაკავშირებული პრობლემები, ანემია.

ტუჩების სილურჯე — გულისა და ფილტვების დაავადებანი (გულისა და ფილტვების უკმარისობაძ.

მუდმივად ღია პირი — ცხვირის პრობლემები (ადენოიდები, ჰაიმორიტიძ.

* * *

**— სახის დიაგნოსტიკის მეთოდი ძველი დროიდან არის ცნობილი მეცნიერებისთვის, — ამბობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ გომართელი. — პრაქტიკულად ყველა ორგანოს აქვს „პასუხსაგები ზონები“ სახეზე და რაღაც პრობლემები ამ ზონებში საშუალებას იძლევიან ალბათობის დიდი ხარისხით მოვახდინოთ დაავადების დიაგნოსტიკა, რომელიც ჯერ არანაირად არ გამოვლინებულა კლინიკურად.**

# „ონკოლოგია“... არის შანსი — ტრამეტა

**ნაირფეროვანი ტრამეტა** — ძლიერი სამკურნალო სოკოა, რომელმაც აღიარება მოიპოვა თავისი სამკურნალო თვისებებით. ეს გასაოცარი სოკო თავის სამკურნალო პოტენციალსა და სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებებს ავლენს მკაფიოდ და სწრაფად!

**ტრამეტას ექსტრაქტი** ზემოქმედებას ახდენს კეთილთვისებიანი ახალწარმონაქმნების თერაპიის: წინამდებარე ჯირკვლის ადენომის, მასტოპატიის, მიომის, სარკომის, კისტის, პოლიპების... დროს.

აგრეთვე ავთვისებიანი სიმსივნეების დამატებითი თერაპიის დროს: ტრამეტას ნივთიერებანი წინააღმდეგობას უწევენ სიმსივნის მიერ იმ ნივთიერებათა გამოყოფას, რომლებიც სტიმულს აძლევენ მის ზრდას, ბლოკავენ სიმსივნეების სისხლძარღვებს ნებისმიერი ლოკალიზაციით, არ აძლევენ საშუალებას ახლების განვითარებას. წინააღმდეგობას უწევს უკვე არსებულ კეთილთვისებიან წარმონაქმნებს რომ არ გადაიზარდონ ავთვისებიანში.




ტრამეტა იცავს კიბოს უჯრედებს გამრავლებისგან, მეტასტაზირებისა და განმეორებითი წარმოქმნისგან.

ტრამეტას გამოყენება რეკომენდებულია ქიმიოთერაპიის დაწყებამდე მის დროს და მის შემდეგ — ხდება კუჭ-ნაწლავთა მიკროფლორის აღდგენა, ნორმალურ ფუნქციონირებას იწყებენ ღვიძლი და თირკმლები, აღარ არის მტანჯველი პირღებინება, გულისრევა, თმის ცვენა.

ამ სოკოს სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებების კვლევის მეცნიერთა ჯგუფის მუშაობის შედეგად შეიქმნა პროდუქტი „ნაირფეროვანი ტრამეტა“.

**დარეკეთ და შეუკვეთეთ ტელეფონით მოსკოვში; 8(495ძ 785-51-18.**

**ექსტრაქტი „ნაირფეროვანი ტრამეტა“ რეკომენდებულია:**

- **კეთილთვისებიანი წარმონაქმნების (მიომი, მასტოპათია, პროსტატის ადენომა, სარკომა, კისტა, პოლიპებიძ;**
- **სხვადასხვა ფორმისა და სიმძიმის ხარისხის ონკოლოგიურ დაავადებათა დამატებითი მკურნალობის;**
- **გადატანილი ქირურგიული, სხივური, ქიმიათერაპიული ზემოქმედების დროს.**

**იგი თავიდან გვაცილებს სიმსივნეების ზრდას და მეტასტაზის ჩამოყალიბებას.**

**მიღების წინ მოეთათბირეთ სპეციალისტებს.**

ЗДОРОВЬЕ

ეპიტაფია

# გიული ჯალაღონია – სიყვარულისთვის დაბადებული



სიკვდილსაც კარგი ადამიანები უყვარსო. ამ ძველისძველი ნათქვამითღა ვიმშვიდებთ თავს, თუკი ამას დამშვიდება და ნუგეში ჰქვია, როცა მართლაც ყველანაირად კარგ ადამიანს ვაცილებთ ამ ხანმოკლე წუთისოფლიდან. სწორედ ასეთი კარგი, საუკეთესო, გამორჩეული ქართველი ქალბატონი ბრძანდებოდა გიული ჯალაღონია, რომელმაც თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლე ქვეყნის, საზოგადოების, ადამიანების სიყვარულსა და კეთილ სამსახურს შეალია.

ამიტომ არის, რომ თავისი სიკვდილით მან არა მარტო თავისიანები და ახლობლები, არამედ მთელი ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობა დაამწუხრა... ვისაც უჭირდა, გიული მუდამ იმის გვერდით იდგა, ვისაც უხაროდა, გიული იმის სიხარულს თავის სიხარულად მიიჩნევდა. არც ჭირს აკლდებოდა, არც ლხინს. შურსა და ბოროტს გასაქანს არ აძლევდა, თავის მთავარ ადამიანურ დანიშნულებად სიყვარული მიაჩნდა და სადაც ის იყო, იქ სიყვარულს მუდამ ზეიმი ჰქონდა.

მისი სიკვდილიც თითქოსდა სიყვარულის თავისებურ სევდიან ზეიმად იქცა... ამდენი ცრემლით და ამდენი ყვავილით ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ ძალიან საყვარელ და ძვირფას ადამიანს ემშვიდობებიან.

მშვიდობით, საყვარელო და ძვირფასო გიული.

დიდი მწუხარება მეტის თქმის საშუალებას არ გვაძლევს.

შენი მეგობრები

დარეჯან ელიაძე, მარინა კანდელაკი, თენგიზ კალანდაძე, გურამ გუნავა, გიორგი დუნდუა, სპარტაკ ქობულია, რუსლან რუსია, გურამ გოგიაშვილი

ჯიმი, ომარ, მურად ანჯაფარიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო ნათესავის, შესანიშნავი პედაგოგის, უსათნოესი ქალბატონის

ნუნუ დადიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შვილებს დათოს და მარიკას. პანაშვიდი 19 I, 17 სთ. გამოსვენება 20 I, 14 სთ. მისამართი: ბარნოვის №80, ბინა 5.

◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

- შუა საუკუნეების რელიგიურ-რაინდული ტამპლიერთა ორდენის წესდებაში ჭადრაკი მერვე სასიკვდილო ცოდვად იყო შეტანილი.
- პირველი კარუსელი რუსეთში 1766 წლის ზაფხულში პეტერბურგში, ცარიცინოში დადგეს.
- ერმიტაჟში ინახება პატარა თასი, რომლის წარწერა მოგვითხრობს 1673 წელს ჰოლანდიის სოფლების აწიოკებასა და საერთაშორისო შეთანხმების დარღვევაზე, მაღალი თანამდებობების გაყიდვაზე. ყველა ეს ქმედება იმ დროის საფრანგეთის მმართველ ლუდოვიკო XIV-ს მიეწერება. თასზე ასევე მინიშნებულია თარიღი „12 მაისი, 1706 წელი“, რაც მეფის შეურაცხყოფა იყო, რადგან ამ დღეს მზე დაბნელდა, ლუდოვიკო XIV კი ხომ მეფე-მზე იყო.
- მისი დასახელება ფრანგული ზმნა „შენებიდან“ წარმოიშვა. თავდაპირველად ის ციხესიმაგრე იყო, კოშკებითა და ბასტიონებით. მათ შორის ყველაზე ცნობილი XIV საუკუნეში აშენდა და როდესაც ქალაქი, სადაც ის მდებარეობს, გაფართოვდა, მან სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგა — ეს გახლავთ ბასტილია.
- ერმიტაჟი სანკტ-პეტერბურგში პარტოლომეო რასტრელის პროექტით 1754-1763 წლებში აშენდა.
- შუა საუკუნეებში შოტლანდიაში ვაზი იზრდებოდა, ხოლო გრენლანდია ამართლებდა თავის სახელს — „მწვანე მიწას“ და დასახლებული იყო ნორმანებით. XVII-XVIII საუკუნეებში დედამიწამ გადაიტანა ეგრეთ წოდებული „მაუნდერული მინიმუმის“ — მცირე გამყინვარების პერიოდი, მაშინ ადამიანებმა მიატოვეს გრენლანდია, ხოლო ლონდონსა და პარიზში ტემზა და სენა რეგულარულად იყინებოდა.
- მდინარე საკრამენტოში ოქრო პირველად სამუელ ჰორსბიმ აღმოაჩინა, რის შემდეგაც დაიწყო „ოქროს ციებ-ცხელება“. ეს პიროვნება შემდგომ აშშ-ის სიმბოლო გახდა და ჩვენ მას დღეს ვიცნობთ სახელით სემი.
- ბაბილონის გოდოლის ასაგებად 85 მილიონი აგური გამოიყენეს.

ნომრის კარიკატურა



⊙ საუფლო დღესასწაული

# ნათლისღება

## გაცხადება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი



**19 იანვარს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია საუფლო დღესასწაულს – ნათლისღებას ზეიმობს.**

...მარიამ ღვთისმშობლის მაღალი ხვედრი იყო ის, რომ თავისი ცხოვრებით ჩვენთვის ხსნა მოენიჭებინა. იგი ძის მომავალ აღთქმულ მეუფებას ელოდა და ბოლოს, როცა იესო ქრისტეს 30 წელი შეუსრულდა, ეს დღეც დადგა. იუდეური ჩვეულების თანახმად, ამ ასაკზე ადრე მოძღვრის წოდებას ვერავინ მიიღებდა; რადგან სჯულს ემორჩილებოდა, ღმერთკაცს სახარების ქადაგება გარკვეულ ასაკამდე არ დაუწყია. ის ნაზარეთიდან წავიდა იორდანეს ნაპირებისკენ, სადაც იოანე წინამორბედი თავის მსახურებას აღასრულებდა და ყველას წყლით ნათლობისაკენ – სინანულისა და განწმენდისაკენ მოუწოდებდა.

მან ვინც კაცობრიობის ცოდვები იტვირთა, არ იუკადრისა, რომ „ხატი მონისა“ მიეღო და იოანე ნათლისმცემლის ხელით იორდანეში მონათლულიყო, რათა ყველასათვის, ვინც მას შეუდგებოდა, ნათლისღების აუცილებლობა ესწავლებინა. ამ დროს ცა გაიხსნა, სულიწმინდა მტრედის სახით მათზე გადმოვიდა და გაისმა ხმა მამისა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ“.

მაცხოვრის ღვთაებრიობა წმინდა სამების გაცხადებამ დაამოწმა. წყლიდან გამოსვლის შემდეგ იესო იორდანეს უდაბნოში განმარტოვდა... 40 დღე და ღამე გაატარა მან ამ ადგილებში, სადაც მაცდური ეშმაკი დაამარცხა და სულიერად ძლიერი დაბრუნდა ყოვლაწმინდა დედასთან...

წყალკურთხევა (დიდი აიაზმას წესით წყლის კურთხევაძ დედა ეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა... ამ დროს უბრალო წყალი მღვდლის ლოცვით განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს.

ნათლობის გარეშე ცხონება შეუძლებელია. როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა: „უკუეთუ ვინმე არა იშვას წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლა სასუფეველსა ღმრთისასა“.

**გიული ლიპარტია**

⊙ დაიჯესტი

### ლეპტოპები სტუდენტებისთვის

**კომპიუტერი, ისევე, როგორც ტელეფონი და ტელევიზორი, ჩვენი ყოველდღიური ყოფის განუყრელ ელემენტად გადაიქცა, მისი ჩვენს ცხოვრებაში ძალუმად შემოჭრა კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით კი მას შემდეგ მოხდა, რაც ნოუთბუქების ფართომასშტაბიანი წარმოება დაიწყო.**



აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ფასს. ახლახან ინდოეთში უკვე გამოუშვეს... 35-დოლარიანი ნოუთბუქები, თუმცა ინჟინრები აცხადებენ, რომ მალე ათდოლარიან აპარატებს შექმნიან!

იაფიანი ლეპტოპები, პირველ ყოვლისა, იმ სტუდენტებზეა გათვლილი, ვისაც ძვირადღირებული კომპიუტერების შესაძენი სახსრები არა აქვთ, – აცხადებენ კომპანიის წარმომადგენლები, რომლებიც უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს მსოფლიოს წამყვან კომპიუტერულ კომპანიებთან ახალი ნოუთბუქების სერიული წარმოების თაობაზე.

### მშობიარობა... სახელმძღვანელოთი

**ვიდრე ლიტერატურას მიჰყოფდა ხელს, ცნობილი მწერალი მიხეილ ბულგაკოვი ექიმად მუშაობდა. 1916 წელს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი, სადაც ბულგაკოვი სწავლობდა, სოფლის საავადმყოფოებში გაანაწილეს. მიხეილ ბულგაკოვი თავის მეუღლესთან ტატიანასთან ერთად სმოლენსკში მოხვდნენ.** ჩასვლისთანავე პირველსავე ღამეს მშობიარე ქალი მიიყვანეს და გაცეცხლებული ქმარი ახალგაზრდა ექიმს პისტოლეტს უქნევდა ცხვირწინ, თან ყვიროდა: „იცოდე, რომ მოკვდეს, მოგკლავ!“ მშობიარობა ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ერთად მიიღეს – ცოლი გინეკოლოგიის სახელმძღვანელოს საჭირო გვერდს ხმამაღლა კითხულობდა, ბულგაკოვი კი მითითებებს ასრულებდა. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

### ვირი... ცაში

**ადამიანს ბევრი სულელური რამის მოფიქრება რომ შეუძლია, ეს, რომ იტყვიან, „სამედიცინო ფაქტია“, თუმცა, როგორც ჩანს, სიტუტუცეს მაინც ზღვარი არა აქვს. რაც დაადასტურეს კიდეც აზოვის ზღვაზე გასართობ დაწესებულებათა მეპატრონეების მიერ მოწვეულმა „შოუმენებმა“, რომლებმაც ვითომდა ტურისტების მოსაზიდად და მათ გასართობად პარაშუტს...** ვირი გამოაბეს და საბრალო ცხოველი თითქმის 40 წუთის განმავლობაში ცაში „გამოკიდული“ ჰყავდათ, საიდანაც არემარეს უსაშველო ყროყინით აყრუებდა. გამხიარულების მაგივრად ხალხის აღშფოთებას შეშინებულ პატარა დამსვენებელთა ხმამაღალი ტირილიც დაემატა, ამიტომაც მილიციას გამოუძახეს, რომელმაც უბედური სახედრის მიწაზე დაშვება ძლივს შეძლო. იდიოტიზმით გამორჩეული სარეკლამო ტრიუკის ავტორებს კი, ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო, სამ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

### ქალწულობის ფასი

**ორმა ირლანდიელმა და ინგლისელმა ჯენტლმენმა ერთმანეთში დიდი პაექრობა გამართა 18 წლის უნგრელ ყმაწვილქალთან... პირველი ღამის გატარების უფლების მოსაპოვებლად, რომელშიც ინგლისელმა გაიმარჯვა.** ქალს, რომელმაც უბიწობა „სულ რაღაც“ 320 ათას დოლარად გაყიდა, მისივე განცხადებით, ფული „ვალების გასასტუმრებლად და სწავლის საფასურის გადასახდელად“ დასჭირდა. მან ასევე დასძინა, რომ ორივე მამაკაცმა მას ცოლად გაყოლა შესთავაზა, რაც სამართლიან ეჭვს ბადებს, რომ პატივცემულ ბატონებს თავიანთი ფულის ბოლომდე ხელიდან გაშვება მაინცდამაინც არ სურდა და პირველი ღამის უფლებას „უსასყიდლოდ“ მიღებას ცდილობდა, თუმცა ქალმა ნაღდი ფული არჩია.



მსგავსი რამ შარშან რუმინელმა ქალიშვილმა გააკეთა, რომელმაც აუქციონზე გამოტანილი ქალწულობა... ერთ გირვანქა სტერლინგად შეაფასა, თუმცა ფასი მაინც 8,8 ათას გირვანქა სტერლინგზე ავარდა. ცხადია, რომ 320 ათასთან შედარებით ეს ბევრი ვერაფერი თანხაა, მაგრამ, რომ იტყვიან, საკუთარი თავი შენ თუ არ დააფასე, სხვა არავინ დაგაფასებსო?!



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7736 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7429 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.8437 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



⊙ ჭინჭარსიტყვა

### დასატირალი

გულსა დასწყვეტს მაგარ ოხვრას –
დარდმა იცის, ტიალმა:
მე დავსტირი მამალ ძროხას,
თავის მინისტრიანა...

**თამაზ ილმელი**

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 21 იანვარს**

⊙ კადრი



⊙ ანეკდოტები

– მამი, მიყიდე რა დოლი! – ეხვეწება პატარა მიხო.
– ახლა მაგის ბრახუნით უნდა გამიხეთქო თავი?
– არა, მამი, შენ ოღონდ მიყიდე და, როცა დაიძინებ, მარტო მაშინ დავუკრავ.

* * *

– მიყიდი ამ სამკაულს? – ეკითხება მარო მიხოს.
– ეს რა, ულტიმატუმია?
– არა, ბრილიანტია!

* * *

– მიხო, 20 ლარი მასესხე!
– არ შემიძლია.
– მაშინ 10 ლარი მასესხე!
– არც ათი ლარი შემიძლია.
– ხუთ ლარსაც ვერ მომცემ?
– ვერც ხუთს.
– მაშინ, შე მათხოვარო, ის მაინც მითხარი, რომელი საათია!



* * *

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ბროლის ჭიქები იყიდეს და სახლში დაბრუნდნენ. კიბეზე ასვლისას ჭიქები ქმარს მიაქვს, ცოლს კი თითო ბავშვი მიჰყავს. მეორე სართულზე ცოლი ქმარს ეუბნება:
– მოდი, ბავშვი შენ დაიჭირე, ჭიქებს კი მე წამოვიღებ, თორემ ამ ბოლო დროს ხელიდან ყველაფერი გივარდება ხოლმე.

* * *

ებრაელი გაკოტრდა. ქართველმა მიუსამძიმრა და ჰკითხა:
– როგორ გძინავს?
– პატარა ბავშვივით.
– ეს როგორ?
– ყოველ საათში მეღვიძება და ვტირი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)
მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 99-62-77; 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.